№ VII & VIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

1927

1899 ივლისი და აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I შავი ცხვარი (საბავშო პოემა) დ. თომაშვილისა 3
II დედა მწყერი (ტრგენიევიდან) გ. ახალციხელისა 22
III პესტალოცის ცხოვრება კანოსი 29
IV დედა და შვილი ლექსი კაჟა ფშაველასი 40
V მირაილა (ფრანგულიდან) ან. წერეთლისა 42
VI დიმიტრის თავ-გადასავალი (მოთხრობა) ალ. ჯუმ—ძისა . . 50
VII გურული გლეხი ლექსი თეოფილე მახარაძისა 57
VIII ცხოველების უნებური მოგზაურობა და მათი გამრავლება
უცხო ადგილებში ალ. ბარნოვისა 59
IX პლანეტები ანუ მთიებნი (ცთომილები) კანოსი 63
X დაკარგული შუბი (სამხრეთ აფრიკის ზღაპარი) ლ. ადნიაშვილისა 68
XI მოწყალება (ტურგენიევიდან) ან. წერეთლისა 78
XII დედის ნუგეში თ. კანდელაკისა 80
IX წერილმანი: ხალხური ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ანაგრამა, შარადა, რებუსი და სხვა 81

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

127

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

№ VII—VIII

წელიწადი მეათე

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი
ეროვნული

ტფილისი

სტამბა ტ. მ. როტინიანცისა ||| Тип. Т. М. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.

1899.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го Іюля 1899 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ცხვარი.

(სასაგმო პოემა)

ვუძღვნი ბესიკს

I.

ერთხელ ღამით, მთვარიანში,
გამოვიდა მინდვრათ მელა,
ჯამბაზივი დადიოდა,—
ფეხ-აკრეფით, ნელა ნელა.
ფომფორა კუდს აქეთ-იქით
დააქნევდა ეშმაკურათ
და ხან ჭაერს ცხვირის ბზეკით
ის ჭენოსავდა თვალთ-მაქცურათ.
მიიარა, მოიარა,
გადაგორდა, გადმოგორდა,
მაღლა ცაში აიხედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქ მიგვარეს გაუსწორდა;—
გაბრწყინვებულ ცის მნათობსა
იგი ერ ხანს შეაცქერდა
ცის სივრცეში მის, კაშკაშზე
მასაც გული აუმღერდა

და გულში თქვა: „ის ცბიერი
ხედავთ, რა თვალთ-მაქციაო!!.
ნეტავ ერთი ჩამოვარდეს
და ჭეინტ ეველათ აქციაო!..
მივვარდები, გადავსანსლავ,
ამოვივსებ მშიერ ფერდსო,
გუნებაზეც შევიქნები,
სიმდერასაც ვიტეევი ერთსო!..“
ამ ფიქრებზე მშიერ მელას
ბი: ში ნერწყვი მოუვიდა,
სულერთიან აცახცახდა,
ნდომით გული წაუვიდა...
„ოი, ოი! მშიან, მშიან!“
ამ დროს კუჭმაც დაუმახა
და ქათმებთან ვახშმათ წასვლა
დაავიწყა, განიზრახა.
და გასწია; თვალებს ნაბავს,
მიწას ფეხებს არ აკარებს,
ჭა, საცაა მიადგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საქათმის ნაცნობ კარებს!..
გული უძგერს სიამითა,
მიცუნცულებს ნელა-ნელა,
ერთიც შეჭხტა, შეტრიალდა,
ჩუმათ, წუნარათ ჩაასველა
და იმ წამსვე უცბათ შეკრთა,—
მას ბაკუნი შემოესმა!
გულში მწარეთ გაიფიქრა:
სიდან იყო ნეტავ ეს ხმა?
მთლათ ათრთოლდა ფოთოლსავით,
და განაბა წამსვე სული
და მიწის ჰირს გადაეკრა
შიშისაგან გულ-წასული...
კვლავ მოესმა ის ბაკუნი,
ერთი, ორი... ადგა მელა,
„გიცნობ, ვინაც ბრძანდებიო“,—
ნერწყვმა ჰირი გაუსველა.
მოიკრიბა ხერხი, ცოდნა,
მიაბიჯებს ფეხებს წუნარა
და იმავ დროს ბაკუნის ხმა
მას მოესმის წარა-მარა.
„ბაკი, ბუკი, ბაკი, ბუკი!“
კვლავ მოესმა აჩქარებით!
მაგრამ მელამ ტკბილი ენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახსენა დაწყენარებით:
— რა ხანია, რომ დაგეძებ,
შავო ცხვარო, შავ-თვალაო!
წვეროსანმა ბიძა-შენმა
კოცნა შემოგითვალაო!
— ბიძა ჩემმა? შენ იცნობ, თუ?!
— ოჰ! რას ამბობ! როგორ არა!..
აკი ვამბობ, ბიძა-შენმა
შენთან კოცნა დამაბარა?..
— შენ სად ნახე? კარგათაა?
— ფერათ სავსე, ჯანით მთელი,
გუშინ ჯილდოც კი მიიღო
მან წითელი ეელ-საბმელი!..
ცხვარს იამა ეს სიტყვები,
გულს იმედი მოეხვია,
მელას ხელი ჩამოართვა,
საკოცნელათ მოეხვია.
მერე იწყეს თამაშობა
ხტუნაობით და ხან რქენით;
დაიღალენ და ბოლოს კი
მელამ ლოკვა უწყო ენით!
ბევრიც ვეღარ მოითმინა,
წამს გაჭბერა, როგორც გუდა,
უცბათ ოთხში ამოიღო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასისინდა მელა-კუდა;
მისი ტუავი ტანთ ჩაიცვა,—
მოხერხებაც ასე უნდა—
და, ვით ცხვარი შინაური,
ფარეხისკენ წაბაკუნდა.

II.

დილით ადრე გამოვიდა
ჰატრონი ცხვრის დასათვლელათ;
დაითვალა, ეკელა არის,
გაეხარდა ეეჯველათ.
ოჯახობას მ ა ა ძ ა ხ ა:
,,ეს ბოროტი, ავ-სულაო,
წუხელი რომ გარეთ დაგვრჩა,
შავი ცხვარი მოსულაო!
დაამწყვდიეთ ეგ ეზოში,
მინდვრათ აღარ გაუშვათო!
თუ არ დადგეს, სხვილი თოკით
დააბით, არ აუშვათო!
თვარა სულ დაგვეკარგება,
ტურა, მელა წაიყვანსო!
თქვენ ხომ იცით, რომ კოკა წყალს
ოკვლთვის არ მოიტანსო!''
და იმ წამსვე გამოვიდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაღეს ეზოს კარი
და ეზოში დაამწყვდიეს
ის საბრალო შავი ცხვარი!
ჯერ მან თითქო მოიწყინა,
შესახედათ აიბუზა;
მარა მალე წათამამდა,
აიუოჩა, აიგრუზა...
შესამჩნევათ მას ყოველ დღე
ემატება სიმსხო-განი,
ლალობს, სხვა რა ენაღვლება,
დარჩა ბურთი-მოედანი!..
თვინიერი რამ შეიქნა,
შეუყვარდათ ბავშებს, ქალებს,
სახლში დადის ის ყოველ-დღე,
კედელ-ყურეს უთვალ-თვალებს!
დილაობით, როცა ქათმებს
საკენკ მარცვალს დაუერიან,
ცხვარიც მათში დათარეშობს
და ქათმებიც არ უფთხიან!
ხან ერთს სუნავს, ხან მეორეს,
ხან თითქო რქენს ვარიასა
და ამ გვარათ ჩუმათ არჩევს
უკეთესს და გვარიანსა!
მიეჩვია იხვ-ბატებსაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკუნტრუშობს, დანავარდობს,
არაფერი ენადგლება,
რა აწუხებს, რომ იდარდოს?..
სხვაგან უფრო კარგ ალაგას
სად წავა და ანუ რათა;
ცა ქუდათ არ მიაჩნია,
დედამიწა ქალამნათ!.
რაც რამ უნდა, სულ მზათა აქვს,
ეველაფერი უზრუნველი:
ბატი, იხვი, ვარიები —
ქათმის ხორცი გემრიელი!
გულში ამბობს: რა ბედში ვარ!
ან აქამდის სად მეძინა?
განა ადრეც არ შემეძლო
ცხვრის ტყავი რომ შემეძინა?!.
მარა ერთ დღეს დიასახლისს
უცნაური ელდა ეცა:
ღობის ძირში ქათმის ბურტელი
დაინახა კეცა-კეცა!
გადითვალა მან ქათმები,
ნახევარი არსად არი, —
სულ მას აქეთ, რაც ეზოში
შემოუშვეს შავი ცხვარი!..
თავში ხელი წაიშინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარა კი რას გახდებოდა,
ვინ ჭეარავდა იმას ქათმებს,
აბა როგორ მიხვდებოდა?!
მხოლოთ ერთხელ, დილით ადრე
ბავშმა ცხვარი დაინახა
და იმ წამსვე თავის დედას
აჩქარებით მიაძახა:
„დედავ, დედავ! ჩვენი ცხვარი
ქათამს ჯამდა ლობის ძირში!
ჩემი თვალით დავინახე,
ქათმის ბურტულიც ჭქონდა ხირში!“
დედას გულით გაეცინა
შვილის ამ გვარ ბრიყვულ თქმაზე,
მარა მალე ელდა ეცა,
შავი ცხვარის დანახვაზე! —
იგი სულ-მთლათ ერთიანათ
ბურტულით იყო შებუმბლული
და ტუჩებიც სისხლში ჭქონდა
შესამჩნევათ გათხუპნული!
გაუკვირდათ, გაიოცეს,
თვალთ ნახული არა სჯერათ..,
ბოლოს ერთათ დაედევნენ
ქალ-კაციან დასაჭერათ.
დატრიალდა შავი ცხვარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თავისთვის მას მოევლო;
დაჭკრა ფეხი და უეცრათ
ეზოს ლობეს გადაევლო!..

III

ქუდ-მოგლეჯით გაქცეულმა
ტუეში ლომი დაინახა
და იმასთან თხოვნით მისვლა
დაავირა განიზრახა.
ჯერ შორიდან, წესისამებრ,
დაიჩოქა თაუვანი სცა,
მოწიწებით მიახლოვდა
და სალამი კრძალვით მისცა.
ლომს იამა მისი ქცევა,
პირ-მცინარეთ გადაჭხედა;
მერე შედგა, ენა აღძრა,
თითქო ახლა გაახსენდა:
„ძველებურათ დღეს აღარ ჭრის
დიდი გვარიშვილობაო;
აი, ცხვრებმაც კი ისწავლეს
შესაფერი ზრდილობაო!..
რაზე მოდი და რასა გვთხოვ,
მოგვახსენე ბაკუნაო!
ასე ადრე რამ გაგტეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წელში რამ გაგლუნაო?...“
წათამამდა შავი ცხვარი,
ცხვარ-მელური აღძრა ენა
და ლომს, მეფეს ლმობიერსა
სათხოვარი მოახსენა:
,,დიდებული და ძლიერი
ცხოველთ მეფე ბრძანდებიო,
ყველასა აქვს შენი შიში,
მე ვარ ამის თავ-მდებიო;
შენ სახელსაც სუყველანი
ადიდებენ დიდათაო,
ყველა ცხოვრობს სიტკბოებით,
უვნებლათ, და მშვიდათაო!
მხოლოთ ერთს კი მოგახსენებ,
იმედია, მომისმენო
და შენ მკაცრ მართლ-მსაჯულებას
ამ საგანზე მოახდენო.—
ამ შინაურ ცხოველებში
სულ არ არის განკითხვაო:
ყველა კაცს ემორჩილება,
ხარ-კაძბეჩი, ცხვარი, თხაო,
და შენ მაღალ ბრძანებლობას
თავის თავ'ზე არ ცნობენო!
კაცს მისვლიან ეურ-მოჭრილ ეშათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიბრიუვეს ვერ გრძნობენო!..
იმ ბატონსაც თუ დასჭირდა
რომელიმე მათგანიო —
თხა იქნება ის თუ ცხვარი,
თიკანი თუ ბატკანიო,
მას მაშინვე წამოაქცევს,
დანას მიჭეოფს თანაც ხელსო
და შვილს დედის თვალის წინა
შეუღებავს სისხლით ეელსო!...
მაგალითზე მორს არ წავალ,
და რათ მინდა ან კი სხვაო,
მოგახსენებ, არ მომეცეს
შენი წერომა და რისხვაო: —
ორი კრავი შემეძინა,
შენთვის მსურდა ერთი ძღვნათო,
მარა ორივე დამიკლა
მე ჰატრონმა ამ ხანათო!...
ახლა რომ კაცს ამ საქმეზე
ხელი ავაღებინოთო
და ჰირუტუვთაც სიტუტუცე
მათი გავაგებინოთო,
საჭიროა რომ ისინი,
დასარკოთ და დაბეგროთო,
რომ ამ ბოროტ მოქმედებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ალარ მოვესწროთო!...“
მოეწონა ლომს ეს რჩევა,
ეურადღებით მოისმინა,
მარა მაინც საბოლოოთ
ვერაფერი გააჩინა!...
და ისევ ცხვარს შეეკითხა:
„როგორ, რა გზით, რა გვარათო?“
— როგორა და — ისევ შეთვის
სასარგებლოთ, სახმარათო!..
შენ მომეცი, დიდო მეფევ,
წერილობით ბრძანებაო,
ბოქაულიც მე ვიქნები,
თუ კი ნება მექნებაო,
არ დავზოგავ ჩემ ძალ-ღონეს,
სულ ტყე-ძინდვრათ ვივლი მეო
და თითო ცხვარს შენ მოგართმევ
უეჭველათ ოთველ-დღეო!“
გაეხარდა ლომს, იამა,
ცხვარს ბრძანება წაემსვე მისცა
და თავისი ნაბრძანები
ბეჭდის დასმით დაამტკიცა.

IV

მუხის ჩრდილში არხეინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვენებით ჭეორავს ლომი,
მან იცის, რომ ცხვარს მოუვანს
მას ერთგული ქვეშევრდომი.
აწ კიდეც რომ ნადირობას
ადარ მიჭეოს სულაც ხელი,
რა უშავს, მას მზათ ექნება
მაინც ლუკმა უზრუნველი.
მარა დილა ვადავიდა,
შუადღემაც მოატანა,
სამხრობამ რომ მოაწია,
ის შიმშილმა აიტანა!..
ჭა! დაღამდა კიდეც კარგათ,
არსადა ჩანს შავი ცხვარი;
იცდის, იცდის, მარა მაინც
ბოქაული არსად არი!..
გაწყრა ლომი, გაგულისდა,
გრგვინვა იწყო შესაზარათ
და ის ჭექა ნაძინელი
შორს გაისმა მთა და ბარათ!
მარა ცხვარს ეს არ აწუხებს,
არხეინათ დაფარფაშობს,
ბუნებაზე მოსულია,
დარიკაობს, დათამაშობს...
სადაც ვისაც კი წარუდგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ლომის ბრძანებასა,
ყველას ჰირში ხმა უწყდება
და ჰყვებიან მის ნებასა!
და ამ სახით შავმა ცხვარმა
ბევრი ავი ჩაიდინა;
გაანწყალა თხა და ცხვარი,
ჩალა მტვერი აადინა!...

V

სიდან ისმის ნეტავ ეს ხმა?
ეს კიჟ ნა? ნეტავ რაა?..
ბძოლა არი, ზათქი, ზარი,
თუ უბრალო სიმღერაა?
დიახ, შავ ცხვარს დღეს ლხინი აქვს,
ეანწებით სმენ ნელა-ნელა
და იმათი კიჟინის ხმა,
შორს გაისმის მინდორ-ველათ!
დგება ლომი, იქით მიდის
შიმშილით გულ-შენაზარი,
ჩუმათ, წუნარათ მიაბიჯებს,
რომ შეიტყოს თუ რა არი.
სულ-განაბვით, ფეხ აკრეფით
შეუმჩნევლათ მიიპარა
და იქვე მდგომ მაღალ მუხას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატურათ მოეფარა
და სულ ცქერათ გადაიქცა.
გატაცებით უთვალ-თვალებს;
ხედავს კარგათ, მარა მაინც
არ უჯერებს თავის თვალებს!..
მელა-დათვნი, ტურა-მგლები
სულუველანი აქ მოსულან,
გრძელი სუფრა გაუშლიათ,
წეობათ-წეობათ ჩასაფრულან;
წინ უერიათ ხარი, ძროხა,
ცხვარ-ქათამი, ინდოური,
ხახმელებიც ათას-გვარი,
საიდან და სადაური!
და ყველაზე საკვირველი:
შავი ცხვარიც აქ მოსულა



და რალაცა მანქანებით
სუფრის თავში დასკუპულა!
მას თვის ვალი აღარ ახსოვს,
თავი მიუნებებია!...
და თვით ლომის ბრძანებაცა
შუბლზე მიუწებებია!..
უკვირს ეს ლომს, ბრაზი მოსდის
აქ მოსულა ნეტავ რათო?
თვისი ვალი აღარ ახსოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, რომ მიგდებს მასხარათო!
უფლება რომ ხელში იგდო,
შუბლს აიკრა როგორ ისო?
ჩანს რომ ადარ ეშინია
ჩემი წყრომის და რისხვისო!..
მე შიმშილით გული მიწუხს,
ფეხი განზე მექცევაო
და ეს კი აქ დასკუპულა
ლხინ-მეჯლიშებს ეწევაო!..
მაგრამ ეს ჯერ არაფერი—
უარესსა ის უეურებს:
წახალისდენ მგელ-დათვები,
საკრავები გაახურეს,
ყალეზე ადგენ გალეშილნი,
თამაშობა, ხტუნვა იწყეს;
აირიენ, დაირიენ,
სულ ზრდილობა დაივიწყეს!..
წახალისდა შავი ცხვარი,
დანავარდობს, დაკუნტრუშობს,
სულ ჰირ-ალმა ტლინკებს ისვრის,
ხალისზეა, არ ჰირ-ქუშობს!..
ხან, სიამე მორეული,
იგი უცბათ ყალეზე დგება
და არ არჩევს ადარავის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მგელ-დათვებს თავს ახტება!..
ბრაზი მოსდის მხეცთა მეფეს,
გული ველში მოებჯინა,
თვალი სისხლით ამოევსო,
მეტიც ველარ მოითმინა.
მოიმზადა ბრჭყალ-კბილები
საშინელი, შესაზარი,
იშვირა— შუაში ჩახტა,
ყველას დასცა შიშის ზარი!
დაფრთხენ მხეცნი, გაიფანტენ
ზოგი ტყეში, ზოგი ველში,
მაგრამ ლომმა უმთავრესი —
შავი ცხვარი— იგდო ხელში!..
მარა, ჭოი საშინელი,
საკვირველი სანახავი:
ძელა გასხლტა და ლომს ხელში
მიუტოვა მარტო ტყავი!
მსწრაფლ გაჭკურცხლა, სერზე შედგა,
იქიდან რომ დაინახა,
გაოცებულ, ჰირ-დაღუბულ
მხეცთა მეფეს გადმოსძახა:
„ვერ მიცანი? თუ ბინდი რამ
გადაგეკრა ორსავ თვალზე?
დაჯექ, გული მოიჯერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ შვენიერ ნასუფრალზე!
მე რაც მწადდა, შევასრულე,
აწი ჭქენი რაც გნებავსო,
თუ დამჭირდა უკეთესსაც
კვლავ ვიშოვნი მე ცხვრის ტყავსო!“.
წაცუნცულდა მელა-კუდა,
გული შვებით მას უტოკავს,
ხან სიმღერას წამოიწყებს,
მიჭხტის გზაში და მიროკავს.
აგერ დაჯდა, დაისვენა,
იქ რაღაცა იტიკტიკა,
წამოვარდა, წაცუნცულდა
და... ხაფანგში ფეხი სტიკა!...
ცივმა ოფლმა დაუარა,
გააცივა, გააცხელა,
შიშისაგან აცახცახდა,
თან სიმწარით ჩაახველა.
მარა რაღას გააწყობდა, —
ჩაჭერილი ჭქონდა ფეხი.
აქ მას ვეღარ უშველიდა
ოსტატობა და სხვა ხერხი!...
დილით ადრე მას კაცის ხმა
დასძახოდა გლოვის ზარათ:
„აქ კი ხერხი, მელა-კუდავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ გარგებს მხსნელათ, ფარათ!
ქათმები რომ შემიჭამე
შავ-ცხვრის ტყავში გახვეულმა,
მერე ცხვრებიც მიაყოლე
საძაგელმა, ჰირ-წყეულმა!..
—ცხვრის ტყავშიო?.. აბა როდის?
რა ცხვრის ტყავი? რისი ქურდი?!
—ჰო, ღობეზე რომ გადახტი,
გამოგიჩნდა მაშინ კუდი!..
და ბევრიც არ დააცალა,
გაატყავა იგი ხელათ;
ტყავი დარჩა მხოლოთ იმას,
ლეში—ყორნებს საყორტნელათ.

დ. თოფაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა მწყერი.

(ტურგენევიდან.)

ულ ათიოდ წლისა ვიყავი, როცა ის, შემენთხვა რასაც ახლა გიამბობთ.

ზაფხული იდგა. მე და მამაჩემი სოფლათ ვცხოვრობდით სამხრეთ რუსეთში. ჩვენ სოფლის გარშემო, რამდენიმე ვერსის სიშორეზე, მინდვრები იყვენ გადაჭიმულნი. ვერც ტყეს და ვერც მდინარეს ახლო ვერ შეხვდებოდით; მხოლოდ აქა-იქ ბუჩქნარით მოცული, პატარა ღელეები, გრძელ და მწვანე გველებივით მიიკლაკნებოდენ და ჰყოფდენ ხან აქ და ხან იქ ტრიალ მინდვრებს. ამ ღელეებში ნაკადულები ჟონავდენ და ალაგ-ალაგ მოჩანდენ ანკარა წმინდა წყაროებიც; ამ წყაროებთან მრავალი ბილიკები მიდიოდენ და წყალთან ახლო კი ტალახზე შეამჩნევდით ფრინველთა და გარეულ პირუტყეთა ნაკალს. ამ უკანასკნელთათვის კარგი სუფთა წყალი ისეთსავე საჭიროებას შეადგენს, როგორათაც ადამიანთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაჩემი გამოჩენილი მონადირე იყო. როცა კი საქმეებიდან მოიხელებდა და ამინდიც ხელს უწყობდა,—აიღებდა თოფს, იაგტაშს გადიგდებდა, დაუძახებდა თავის დაბერებულ ტრეზორკას და გაემგზავრებოდა მწყრებზე და კაკბებზე სანადიროთ. კურდღლებზე ნადირობა არ უყვარდა და იმ ადგილებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, სხვა ნადირი ან ფრინველი იშვიათათ მოიპოვებოდა, მწყერები და კაკბები ბლომათ იყო. ხშირათ შეხვდებოდით ღელეების პირას კაკბებისაგან გაქექილ მიწას. ტრეზორკა ამგვარ ადგილას უცებ შეჩერდებოდა, კუდს კანკალს დააწყებინებდა და შუბლიც ენაოჭებოდა; მამაჩემსაც ფერი ეცვლებოდა და თოფის ჩახმახს ფეხზე შეაყენებდა ხოლმე. ნადირობის დროს მამაჩემს ხშირათ მივყავდი, რაიც ჩემთვის დიდ სიამოვნებას შეადგენდა. შარვალს წაღებში ჩავიკეცავდი, მხარზე გადვიგდებდი ხოლმე წყლის ჭინჭილას და მეც თავი მონადირეთ მიმაჩნდა! ლაპა„ლუპით ოფლი ჩამომდიოდა, პატარა კენჭები წაღებში მეჩხირებოდენ, მაგრამ მაინც დაღალვას არა ვგრძნობდი და მამაჩემს ფეხდაფეხ მივყვებოდი. როცა თოფის გავარდნასთან ერთათ ფრინველი ძირს ე'შვებოდა, მე ყოველთვის აღტაცებით შევიკუნტრუშებდი და შევყვირებდი ხოლმე; დაკოდილი—მომაკვდავი ფრინველი ეხეთქებოდა, სცემდა ფრთებს ბალახზე და ხან ცდილობდა ტრეზორკას კბილებისაგან განთავისუფლებას; სისხლი სდიოდა, მაგრამ მე მაინც მიხაროდა და არავითარ სიბრალულს არა ვგრძნობდი. რას არ მიეცემდი, რომ ჩემთვისაც ნება მოეცათ თოფის ხმარებისა და ნადირობისა! მაგრამ მამაჩემმა მითხრა, რომ ვიდრე ოცი წლისა არ შეიქნები თოფს არ გაიჩრსებო და მაშინაც ერთ ლულიან თოფს მოგცემ და ნებას დაგრთამ მხოლოდ ტოროლებზე ინადიროო.

ტოროლები ჩვენკენ ბევრი იყო; როცა კი მზიანი დღე დადგებოდა, ტოროლები ათობით დანავარდობდენ ლურჯ ცის კამარაში, მიისწრაფოდენ მაღლა-მაღლა და ზარიეით წკრიალი გაჰქონდათ. მეც ამიტომ ტოროლებს შევყურებდი, როგორც ჩემ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალ ალაფს და ხშირათ ეუმიზნებდი ხოლმე ჯოხს, რომ ალაფი თოფის მაგივრათ დამქონდა. ტოროლას მოკვლა ხომ ადვილია, მომეტებულათ, როცა ზემოდან დაეშვება, მიწიდან ორ-სამ ალაბის სიმაღლეზე შეჩერდება და იწყებს ფართხალს, ვიდრე ბალახებში გაგოგდებოდეს.

ერთხელ მე და მამაჩემი სანადიროთ გავემგზავრეთ. პეტრე-პავლობა მოახლოებული იყო. ამ დროს კი კაკბების ბარტყები ჯერ პატარები არიან; მამაჩემს არ უნდოდა მათი დახოცვა და გასწია ბუჩქნარისკენ, მომკილ ყანის ახლოს, სადაც მწყერები ეგულებოდა. იქ მისვლისათანავე ტრეზორკა შეჩერდა; მამაჩემმა მიაძახა „ეცი!“-ო და ამასთანავე ტრეზორკას ცხვირ-წინ მწყერი აფრინდა, მაგრამ ეს მწყერი, როგორღაც არა ჩვეულებრივ მიფრინავდა: პროწიალობდა ჰაერში, ხან ძირს ეშვებოდა, — გეგონებოდათ დაკოდილია, ან ფრთა აქვს მოტეხილიო. ტრეზორკამაც ბევრი აღარ ახანა და ეცა მწყერს... მამაჩემმა თოფის გასროლაც კი ვერ მოახერხა, რადგანაც ეშინოდა საფანტი ძაღლსაც არ მოვახვედროვო. — და უცებ რას ვხედავ! ტრეზორკას უკვე დაუჭერია მწყერი და მამაჩემს მოუტანა! მამაჩემმა მწყერი გამოართვა და ხელზე გულ-აღმა დაიდვა.—მეც მივირბინე.—რა მოხდა: დაკოდილია მეთქი?—არაო მითხრა მამამ; უეჭველია ამას აქ ახლო ბუდე აქვს გაკეთებული, ბარტყები ჰყავს და თავს განგებ დაკოდილათ გვაჩვენებს, ცბიერობს რომ ძაღლი მოატყუილოს, მიპასუხა მამამ.—ეგ რისთვის მოიქმედა მწყერმა? შევეკითხე მე.—მიტომ რომ ჯერ ძაღლს ბარტყებს მოაშორებდა და შემდეგ თავს უშველიდაო. მწყერი შესცდა ანგარისში; ძაღლის მოტყუება უნდოდა, მაგრამ თვით მოტყუდა და ტრეზორკამ დაიჭირა.—მაშ მწყერი დაკოდილი არ არის? გავუმეორე კითხვა—არა... მაგრამ ეველარ კი იცოცხლებს... ტრეზორკამ ეტყობა მეტათ ბაუჭირა კბილები.—მე უფრო მივუახლოვდი. მწყერი თავჩაკიდული, გაუნძრევლათ იდვა მამიჩემის ხელის გულზე. საბრალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის მეტათ შემებრალა! მეგონა შემომყურებს მწყერი და ფიქრობს: „რა დავაშავე, რატომ უნდა მოვკვდე? რატომ? მე ხომ ჩემ მოვალეობას, ვასრულებდი; ძაღლის მოშორება და ჩემი პატარების დაცვა მსურდა! შესაბრალისი ვარ, შესაბრალისი! — უსამართლობაა, უსამართლობა!“

— მამილო, ვუთხარი მე, იქნება არც კი მოკვდეს... და ამასთანავე მინდოდა მწყერის თავზე ხელი გადამესვა. — არა, შვილო! მიპასუხა მამამ. — აი შეხე ახლა: ფეხებს გაჭიმავს, ერთს შეაკრეფოლებს და სამუდამოთ თვალებს დახუჭავს. ასეც მოხდა, მწყერმა თვალები დახუჭა თუ არა, ავტირდი.

— არა, რა გატირებს? შემეკითხა მამა და გაეცინა. — მწყერი მებრალება, — ვუპასუხე. — ეგ თავის მოვალეობას ასრულებდა და მოკალით კი. ეს უსამართლობაა! — ამ მწყერს მოტყუება უნდოდა, მიპასუხა მამამ, მაგრამ ტრეზორკამ აჯობა ეშმაკობაში. — ბოროტი ტრეზორკა! გავიფიქრე... და იმ დროს მამაც კი უწიოდულათ კეთილ კაცათ აღარ მეჩვენა და ან აქ მწყერისაგან რა ეშმაკობა და მოტყუება იყო? ეს იყო მხოლოთ სიყვარული შვილებისადმი და მეტი არაფერი! თუ მწყერი ცდილობდა განგებ იმ გვარათ ეჩვენებინა თავი, რომ თავის პატარა შვილები დაეხსნა განსაცდელისაგან, — ამიტომაც ტრეზორკას ის არ უნდა დაეჭირა. ის იყო მამაჩემსაც მწყერი იაგტაშში უნდა ჩაედვა, მაგრამ მე გამოვეთხოვე, მოწიწებით ხელის გულზე დავიდე და სული შთავბერე: იქნება თვალები აახილოს და მოსურიელდეს მეთქი, მაგრამ მწყერი არც კი შეინძრა.

— ტყუილია, შვილო, — მითხრა მამამ, — მაგას ველარ გააცოცხლებ. ხედავ როგორ თავი უპანტურებს? — მე ნისკარტით წყნარათ თავი მწყერს მაღლა ავუწიე, მაგრამ ხელის გაშვებისათანავე, თავი მოწყვეტილსავით ჩაეკიდა.

— კიდევ გებრალება ეგ მწყერი? შემეკითხა მამა.

— მაშ, ამის პატარებს ვილა არჩენს? — შეველეკითხე ჩემი მხრით. — მამამ დიდხანს მიყურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი მოითმინე, — ტრეზორკა კიდე შეჩერდა... მაგის ბუდეა იქმნება! სწორეთ რომ ბუდეა!

ბალახში, ტრეზორკასთან ორიოდ ნაბიჯის სიახლოვეზე, ერთმანეთს მიჰკროდენ ოთხი ბარტყი; კისრები წამოეგრძელებინათ და ყველანი ერთათ და ისე ხშირ-ხშირათ სუნთქავდენ, გეგონებოდათ აკანკალებთო! ბუმბულით უკვე შემოსილიყვენ, მაგრამ კუდები ჯერ პატარები ჰქონდათ.

— მაძლო, მამილო! — შეეძახა აღშფოთებულმა... — მოაშორე ტრეზორკა! თორემ ამათაც დახოცავს!

მამაჩემმა ტრეზორკა მოაშორა და მახლობლათ, ერთ ბუჩქ-ქვეშ მიჯდა დასანაყრებლათ. მე კი ბუდესთან დავრჩი, ჭამა არ მინდოდა. ამოვიღე სუფთა ცხვირსახოცი, გავშალე და ზედ მწყერი დავასვენე... „ვითომ, უყურეთ ობლებო, აგერ თქვენი დედა, რომელმაც თავი შემოგწირათ-მეთქი!“... შემდეგ ავდექ და მიველ მამასთან.

— შეგიძლია ეს მწყერი მე დამითმო? — შეეკითხე მას. — ინებე — მითხრა — მაგრამ რა გინდა უყო მაგას. — მინდა დავმარხო! დამარხო?! — დიახ, ბუდესთან ახლოს. მათხოვე შენი დანაც, საფლავს გავუთხრი. — მამაჩემს გაუკვირდა. — შენ გინდა რომ შვილებმა დედის სამარე ინახულონ ხოლმე? მკითხა მამამ. — არა, ვუპასუხე, — ისე... მინდა. უფრო მოსვენებით განისვენებს თავის ბუდის ახლო!

მამამ ხმა აღარ გამცა და დანა მოამწოდა. მაშინვე ორმო ამოეთხარე; მწყერს გულზე ვაკოცე, ჩავდე ორმოში და მიწა მივაყარე. შემდეგ დანითვე ორი პატარა ხის ტოტი მოვჭერი, ქერქი გავაძრე, ჯვარედინათ გადავდე ერთი-ერთმანეთზე, ბალახით გადავები და საფლავს დავურჭე... მალე გავშორდით ამ ადგილს, მაგრამ ვიდრე მოვეფარებოდით სულ უკან ვიყურებოდი... თეთრი ჯვარი კარგა მანძილამდის მოჩანდა.

ხუთიოდ დღის შემდეგ მე და მამაჩემი კიდევ მოვხვდით ამ ადგილს. მე მაშინვე საფლავი მოვნახე ჯვრის შემწეობით, რომელიც თუმცა გაყვითლებულიყო, მაგრამ არ წაქცეულიყო... ბუდე ცარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელი დაგვხვდა. ბარტყების კვალიც კი არსად ჩანდა. მამაჩემმა... მარწმუნა, რომ ბარტყებს მათი მამა წაიყვანდა სადმეო; და როცა რამდენსამე ბიჯს იქით ერთი ბებერი მწყერი ამოფრინდა, მამაჩემმა თოფიც არ ესროლა... და მე ვიფიქრე: „არა მამაჩემი კეთილი გულისაა!“-მეთქი.

იმ დღიდან ნადირობისადმი ყოველივე ხალისი დამეკარგა და აღარც კი ვფიქრობდი იმ დროზე, როდესაც მამას ჩემთვის თოფი უნდა ეჩუქებინა! მაგრამ როცა გავიზარდე, მეც დავიწყე ნადირობა, თუმცა ნამდვილ მონადირეთ არა დროს არ ვყოფილვარ და აი, კიდევ რამ დამიკარგა ნადირობის ხალისი.

ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი ასკეტებზე [1]) ვნადირობდით და შევხვდით მთელ ერთ ხროვა ასკეტებს. დედა ასკეტი აფრინდა, ჩვენ თოფი ვესროლეთ და მოვარტყით, მაგრამ ის ძირს არ დაეცა და ფრენით შვილებს გაჰყვა. მე უკან გამოდევნება მინდოდა, მაგრამ ამხანაგმა მითხრა: „ჯობს აქ ჩავუსხდეთ და მოვიტყუილოთო, — ყველანი ახლავ აქ დაიბადებიან“ ო. ჩემი ამხანაგი შვენიერათ აჯავრებდა ასკეტების კაკანს. ჩავესაფრენით. ამხანაგმა კაკანი დაიწყო. — და მართლაც, ჯერ ერთმა ახალგაზდა ასკეტმა მოგვცა ხმა, მერე მეორემ და ამასთანავე გვესმის: თვით დედა მოიკაკანებს ნაზათ და ახლოს. თავი ავიღე და დავინახე: ბალახებში დედა ასკეტი მოესწრაფება ჩვენკენ, ჩქარობს, ჩქარობს და თვით გული მთლათ გასისხლიანებული აქვს! ეტყობოდა ველარ გაუძლო დედურმა გრძნობამ! ამ დროს ისეთ ბოროტათ ვიგრძენ თავი რომ... წამოვხტი და ხელები დავატყაპუნე. დედა ასკეტი მაშინვე გაფრინდა და ახალგაზდებიც მიიმალენ. ამხანაგი ვამიწყრა; გიჟათ დამსახა... „შენ მთელი ნადირობა წამიხდინე!“-ო.

მაგრამ მე კი იმ დღიდან სულ მეძნელებოდა და მეძნელება, ნადირთა ხოცვა და სისხლის ღვრა.

გ. ახალციხელი.

---

[1]) გაბრეული ქითაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პესტალოცცის ცხოვრება.



ასაელეთით ჩვენგან საფრანგეთის სამზღვარზე არის პატარა, მაგრამ ლამაზი ქვეყანა, შვეიცარია, რომელიც თავისი ბუნებით საქართველოს ბევრათ წააგავს. 1746 წელს, 12 იანვარს შვეიცარიის ერთ ქალაქში, ციურიხში, დაიბადა ჰენრიხ პესტალოცცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს შესწირა და სამართლიანათ დაიმსახურა ღარიბთა მხსნელისა და ობოლთა მამის სახელი. ყოველი ადამიანის ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს, იცნობდეს ასეთი პირების ცხოვრებას და თავგადასავალს; ამიტომ ჩვენც გავიცნოთ, რა კაცი იყო პესტალოცცი და რა სარგებლობა მოუტანა მან თავის ქვეყანას და მთელ კაცობრიობას.

პესტალოცცის დედმამა გულ-კეთილი და შრომის მოყვარე პირები იყვენ; მამა ექიმი იყო, დედა მეოჯახე: პესტალოცცის ჰყავდა ერთი ძმა და ერთი და. ხუთი წლისა იყო, როცა იმას მამა მოუკვდა, მალე ძმაც გარდაიცვალა და ოჯახი სილარიბეში ჩავარდა. ჯერ მამის სიცოცხლეშივე მათ დაიყენეს მოსამსახურე ქალი ბაბელი, რომელსაც პესტალოცცის ოჯახი ძალიან შეუყვარდა. როცა მამა კვდებოდა მოიხმო ბაბელი და შეეხვეწა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემ ოჯახს ნუ დაანებებ თავს, თორემ ცხოვრება გაგიმწარებდებათო.

— თუ კი რაშიმე გამოეადგები, ჩემ სიცოცხლეში თავს არ დავანებებ, აღუთქვა ბაბელიმ და პატიოსნათ შეასრულა თავისი სიტყვა: მთელ ოჯახს ნამდვილი პატრონობა გაუწია. თუმცა პესტალოცცის დედა ქმრის სიკვდილს შემდეგ სიღარიბეში ჩავარდა, მაგრამ თავდარიგიანი და მომჭინე ბაბელი ოჯახს ისე უძღვებოდა, რომ გაჭირვების სიმწარეს არ აგრძნობინებდა: საჭმელსაც ამზადებდა, სარეცხსაც რეცხავდა, ტანისამოსსაც ჰკერავდა, ერთის სიტყვით მთელი ოჯახის ჯარა იყო. პესტალოცცის პაპა სოფლის მღვდელი იყო; პესტალოცცი მასთან ხშირათ დადიოდა ხოლმე და ამ გვარათ არა თუ სახლში, სახლს გარეთაც ბევრგან ხედავდა სიღარიბეს და სიღატაკეს. მან პატარაობიდანვე შეიყვარა ღარიბი ხალხი; როცა მათხოვარს შეხვდებოდა, რაც კი რამ ექნებოდა მიაცემდა ხოლმე; ხშირათ თავის სადილს წაიღებდა და ღარიბს აძლევდა.

სწავლა პირველათ სახლში დააწყებიეს, შემდეგ ციურიხის სასწავლებელში შეეიდა. სასწავლებელი პესტალოცცის არ მოეწონა; მასწავლებლებიც მას უნიჭოს უძახდენ. მოსწავლეთა შორის, რასაკვირველია, ზოგი მდიდარი იყო, ზოგი ღარიბი. მდიდრები ხშირათ დასცინოდენ ხოლმე ღარიბებს; პესტალოცცი კი ყოველთვის ღარიბებს გამოესარჩლებოდა. ამის გამო ამხანაგების ერთ ნაწილს თავდაპირველათ პესტალოცცი სძულდა, მაგრამ, როდესაც კარგათ გაიცნეს, თითქმის ყველამ შეიყვარა და ზოგი მათგანი სიკვდილამდის მის მეგობრათ დარჩა.

პესტალოცციმ გაათავა საშუალო სასწავლებელი და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შეეიდა. უმაღლესი სასწავლებელი პესტალოცცის ძალიან მოეწონა. მასწავლებლები ყველა მამულის სიყვარულითა და საწყალი ხალხის სიბრალულით იყვენ გაჟღენთილი, მოსწავლეებსაც ამავე გრძნობებს უნერგავდენ გულში. მოსწავლეებმა მალე შეადგინეს სხვა-და-სხვა წრეები; სწავლობდენ, ერთათ მსჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდენ და იკვლევდენ, რა ეჭირვება ჩვენ ხალხს და რა გზით სამსახური უნდა გაეუწიოთ, რომ მისი ცხოვრება გაეუმჯობესოთო.

პესტალოცციმ მალე გაათავა უმაღლესი სასწავლებელი, გამოვიდა ცხოვრებაში, მაგრამ მისი გული და გონება ხალხისაკენ იყო მიმართული; მას მხოლოთ ხალხის სამსახური იზიდავდა. თავისი მიზანი პესტალოცცის გამორკვეული ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, რა საქმისათვის მოეკიდა ხელი, რომ ხალხისათვის უფრო მეტი სარგებლობა მოეტანა. თავდაპირველათ მან მოინდომა მოსამართლეობა. ის ფიქრობდა: დაბალმა ხალხმა კანონები არ იცის, ხშირათ იჩაგრება, ტყავდება და ამ მხრივ უნდა მიეშველოვო. პესტალოცციმ დაიწყო მომზადება ამორჩეული ხელობისათვის, მაგრამ მალე დაანება თავი. —წავალ სოფელში და მივეშველები სოფლის ხალხსო, გაუელვა თავში პესტალოცცის; მან მოიგონა თავისი პაპა, მღვდელი, რომელიც ულიდა და ეხმარებოდა ხალხს; ამიტომ დაუყოვნებლივ გადაწყვიტა: წავალ მღვდლათ და ისე ვემსახურები ხალხსო. მაგრამ პესტალოცციმ ამასაც მალე დაანება თავი. ხალხზე რომ გავლენა ვიქონიო და ეს გავლენა მის საკეთილდღეოთ მოვიხმარო, ჯერ მისი ნდობა და სიყვარული უნდა დავიმსახურო; ამისათვის კი ხალხს უნდა დავუახლოვდე, გავიცნო, კარგათ შევისწავლო მისი ზნე ჩვეულება, საჭიროებაო. ამ მოსაზრებით პესტალოცციმ იფიქრა: ჩავალ სოფელში, ადგილს შევიძენ, რომ ჩემის შრომით ვირჩინო თავი, ხალხს გავიცნობ და მაშინ უკეთეს სამსახურს გაეუწევო.

სანამ სოფელში ჩავიდოდა, პესტალოცცი უბრალო მუშათ დადგა ერთ დიდ მემამულესთან, მუშაობდა მიწას და მეურნეობას სწავლობდა. ამავე დროს მამული და მისი კეთილდღეობა ყოველთვის თვალწინ უდგა. ის ოცნებობდა: ხალხს სიღარიბისაგან დავიხსნი, ზნეობრივათ გავაფაქიზებ და გონებრივათ ავამაღლებო; ამისათვის კი საჭიროა პატარაობიდანვე რიგიანი აღზრდა. ამიტომ პესტალოცცის გადაწყვეტილი ჰქონდა: როცა სოფელში ჩავალ და ხალხის საკეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეოთ დაიწყებ შრომას, ბავშების აღზრდას დიდი ყურადღება უნდა მიეაქციოვო.

პესტალოცცომ შეერთო ცოლი, წავიდა სოფელში, იქირავა ადგილი, ააშენა სახლი და დაიწყო მეურნეობა. ის ისე მუყაითათ და სიყვარულით შეუდგა საქმეს, რომ მალე ამხანაგებიც კი იშოვნა, რომლებმაც ფული გამოიღეს მის მიერ დაწყებული საქმის გასაუმჯობესებლათ. პესტალოცცი მეურნეობაში არ იყო გამოცდილი და მოგების მაგიარ ბევრი წააგო. ეს რომ ამხანაგებმა დაინახეს, თავისი ფული წაიღეს და შემოეცალენ. მარტოოთ მარტო დატოვებული პესტალოცცი ძალიან გლახა მდგომარეობაში იყო, მაგრამ ამ დროს ვაჟი შეეძინა და ამან მწუხარება დააავიწყა. ოჯახი რომ ერჩინა, ხალხის სამსახურის შესახებ ფიქრისათვის პესტალოცცს ჯერჯეროობით თავი უნდა დაენებებია. ადგილის ნახევარი სოფლელებზე გასცა, ნახევარს თითონ მუშაობდა: შეეძინა ძროხები, ჰყიდდა რძეს, ყველს, ბოსტნეულობას და იმდენ ფულს შოულობდა, რომ მისი პატარა ოჯახისათვის სრულიად საკმარისი იყო. მაგრამ პესტალოცცის ბუნებას არ შეეძლო საკუთარი ბედნიერება ეძია და სხვა დაიწყებოდა: სხვისთვის შრომა, სხვისი სამსახური მის მოთხოვნილებას შეადგენდა და ამისთანა კაცს საქმე არასოდეს არ გამოელეოა. სხვისათვის სარგებლობის მოტანა ყოველგან და ყოველთვის შეიძლება, ოღონდ კი ადამიანს სურვილი ჰქონდეს. პესტალოცცის დროს შვეიცარიის ხალხი ღარიბი იყო, მათხოვართა რიცხვი აღარებელი; მათ შორის ბევრი იყო მცირე წლოვანიც, რომლებსაც არც სახლი გააჩნდათ, არც კარი. რასაკვირველია, ასეთი ყმაწვილებისაგან ქურდებისა და მავნებელი პირებს მეტი რა გამოვიდოდა! პესტალოცცომ მოაგროვა მათხოვარი ბავშები, რამდენსაც კი დაიტევდა მისი სახლი, და დაუწყო მათ სწავლება. ის ფიქრობდა: იმდენ ცოდნას მაინც შეეძენ, რომ მომავალში ლუკმა პური იშოვონო.

ამდენ ბავშს სმა-ჭამა და ჩაცმა არ უნდოდა? პესტალოცცის სად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა საამისო შეეძლება? შეძლების შოვნა პესტალოცცის-ც ერთი საქმე ეგონა. ის ერთ გაზეთში აცხადებდა თვის მიერ დაწყებულ საქმეს, სწერდა, რა შედეგიც უნდა მოჰყოლოდა მას და ბოლოს დასძენდა: ხარჯს ამგვარი საქმე სულ არ ითხოვს, ბავშებს შეუძლიათ, მცირეოდენი შესაფერისი შრომით იმდენი ფული აიღონ, რომ იმათაც ეყოსთ და მომავლისთვისაც გადარჩესთო. ამგვარათ პესტალოცი დარწმუნებული იყო რომ ბავშები თავის შრომით თავსაც შეინახავდენ, მომავლისათვისაც ფულს მოიგროვებდენ. პესტალოცცი ასეც მოიქცა: წიგნის სწავლების გარდა ის ამუშავებდა ბავშებს ბაღში, ზოგს ართვევინებდა, ზოგს ქსოვას ასწავლიდა. პესტალოცცის მიერ დაწყებული საქმე სრულიად ახალი იყო მთელ შვეიცარიაში; ამიტომ ბევრს უკვირდა, ბევრს მოსწონდა. თავისი მოწაფეები პესტალოცცემ სულითა და გულით შეიყვარა და ამ საქმისათვის აღარაფერს აღარ ზოგავდა.

პესტალოცცი და იმისი ერთგული მეუღლე, ანნა, ორივე ერთათ ასწავლიდენ ბავშებს წერა-კითხვას, შრომას და სხვ. პესტალოცცი არც უწყრებოდა მათ, არცა სჯიდა, არც თამაშს უკრძალავდა თავთავის დროზე. ძალე პესტალოცცი ყველა ბავშებმა შეიყვარეს და იმას ცდილობდენ, რომ მისი თითოეული სიტყვა, მისი სურვილი ესრულებიათ. ერთ წელს შემდეგ მათხოვარი ბავშები სრულიად გამოიცვალენ; სუფთათ ჩაცმულნი, წყნარნი, მშრომელნი და ბეჯითნი საუცხოო სანახავი იყვენ. პირველსავე წელს შემდეგ პესტალოცცი დარწმუნდა, რომ მისი ანგარიში უნიადაგო იყო: ბავშებმა არა თუ მომავლისთვის ვერაფერი მოირჩინეს თავისი შრომით, არც კი ეყოთ საცხოვრებლათა; პესტალოცცის თავისიც ბევრი დაეხარჯა მათზე. იმან გაზეთში გამოაცხადა თავისი ახალი დაწესებულების მოქმედება, მდგომარეობა და ყველას, ვისაც კი მოძმისადმი გული შეტკიოდა, დახმარებას თხოვდა. აქა იქ გამოჩდა გულშემატკივარი და ათას ოთხასი ფრანკი [1]) მოგროვდა, მაგრამ ეს ფული რას ეყოფოდა!

[1]) ფრანკი უდრის 25 კაპეიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰესტალოცცი მაინც არ ჰკარგავდა იმედს. ის დარწმუნებული იყო, რომ რამდენსამე წელიწადს თუ შესძლებდა თავის საქმის წინწაძღოლას, შემდეგ საზოგადოება შეიგნებდა მის დიდმნიშვნელობას და ის შეინახავდა. ჰესტალოცცემ გაჰყიდა, რაც რამ გააჩნდა, ზოგი დააგირავა და თავის დაწესებულებას კი არ დაანება თავი. მოკლე ჭკუის ადამიანი ყოველთვის ბღოლმათ არის დედამიწის ზურგზე და მაშინაც ბევრი იყო. უმეტესობას ვერ წარმოედგინა, რისთვის იტანჯებოდა და წვალობდა ასე ჰესტალოცცი, ნეტა რა სარგებლობას გამოელის მაჭანწალა ბავშვების აღზრდითო. მათ უკვირდათ, განა შეიძლება ადამიანმა ისეთი საქმე შეიყვაროს და ისეთ საქმეს შეაწიროს ჯან-ღონე, რომელიც ჯიბეში ფულებს არ ჩაუჩხრიალებსო! ჰესტალოცცი შემდეგი სიტყვებით აჩუმებდა ასეთ პირებს: იმაზე უმაღლესი ნეტარება და ჯილდო განა იქნება როცა ხედავ, რომ შენი შრომით დაღუპვისაგან იხსნი, ზნეობით და გონებით ამაღლებ და პატიოსან შრომას აჩვევ იმ პირებს, რომელთაც უშენოთ მომავალი მხოლოთ ქურდობას და ავაზაკობას უქადოდაო? სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, ცოტაა ახლაც, რომ ამ ანდაზას გაიძახის? ვინც ზნეობრივათ პირუტყეს დაჰგვანებოდა, მას ჰესტალოცცის ზემოთმოყვანილი სიტყვები სიცილს ჰგვრიდა. ჰესტალოცცის ყოველისფერი შემოაკლდა, ბავშვების შესანახავათ აღარავითარი საღსარი აღარ გააჩნდა. საზოგადოებამ დახმარების ნაცვლათ ხმა დაუყარა, ჭკუაზე შეიშალაო. საუკეთესო მეგობრებიც კი შემოეცალენ ჰესტალოცცის, რადგანაც გიჟათ ჩათვალეს. გულდათუთქული ჰესტალოცცი იძულებული იყო, შეუძლებლობისა გამო ბავშვები დაეთხოვა და დაეხურა ის დაწესებულება, რომელიც მისი ცხოვრების მიზანს შეადგენდა.

ჰესტალოცცის სულიერი ტანჯვა აუწერელი იყო; ის გრძნობდა, რომ ამდენი უპატრონო ბავშვები იღუპებოდენ, მას სურდა მათი გადარჩენა, მათი აღზრდა, რიგიან გზაზე დაყენება; მას უნდოდა, მთელი თავისი არსება უანგაროთ შეეწირა ამ საქმისათვის, თავისათვის არაფერს არ ითხოვდა, მაგრამ სიღარიბისა და საზოგადოების გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციობის გამო, იძულებული იყო გამოთხოვებოდა თაეის მიზანს ერთათ ერთი მეგობრისამარა დარჩა პესტალოცცი,—ეს იყო მისი მეუღლე, ანნა; ის ამხნევებდა პესტალოცცის, აიმედებდა: ახლა თუ ვერ განახორციელე შენი მიზანი, მომავალში განახორციელებ, ასე უცებ როგორ გაგიტყდა გულიო. პესტალოცცი გამოეთხოვა თაეის მიზანს იმ დრომდე, სანამ გარემოება უკეთ არ მოეწყობოდა და მწერლობას მოჰკიდა ხელი, მხოლოთ იმ მიზნით, რომ როგორმე დღიური ლუკმა ეშოვნა და ოჯახი გამოეკვება. მალე რამდენიმე მოთხრობა დასწერა, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა და თვითონვე სულ ყველა დასწვა. ბოლოს დასწერა დიდი მოთხრობა „ლიმპარტი და გერტრუდა“ და დასაბეჭდათ გაგზავნა. დაიბეჭდა თუ არა მოთხრობა, მოკლე ხანში დიდი სახელი მოუხვეჭა პესტალოცცის. ამ მოთხრობის შემოკლებული თარგმანი პესტალოცცის სურათით უკვე არსებობს ქართულ ენაზე და ყველას შეუძლია, მას მიმართოს, მე კი აქ მხოლოთ შინაარსს მოვიყვან:

სოფლის მამასახლისს გუმმელს, რომელიც საძაგელი კაცია, სამიკიტნო აქვს გაღებული და ლამის მთელი სოფელი დაატყავოს, ლოთათ გადააქციოს. სოფელში ცხოვრებს ქვის მთლელი ლიმპარტი მეუღლე გერტრუდათი და წვრილი შვილებით. გერტრუდა ხედავს, რომ გუმმელის წყალობით სოფელი იღუპება და განიზრახავს, რომ მოაშოროს სოფელს მავნე მიკიტანი. ჯერ, როგორც იქნა, ქმარი და რამდენიმე მეზობელი დაიყოლია, რომ სამიკიტნოში სიარულისა და ლოთობისათვის თავი დაენებებიათ; მაგრამ მთელ სოფელს ხომ ამგვარათ ვერ დაიყოლიებდა! პატიოსან ქალს დაეხმარა მეზობელი მემამულე, არნერი; დაუმტკიცა გუმმელს, მისი სისაძაგლე, ჩაასმევინა ის ციხეში და ამგვარათ სოფელს დამღუპველი ადამიანი მოაშორა. სოფლის ცხოვრება ამას შემდეგ სრულიად გამოიცვალა: სრული ბედნიერება დამყარდა. ავტორს აწერილი აქვს, თუ როგორ ზრდიდა გერტრუდა თავის შვილებს, ამგვარათ მან ამ მოთხრობაში გამოთქვა თავისი აზრი ბავშვების აღზრდისა და სწავლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პესტალოცცის წიგნი მალე გადათარგმნეს უცხო ენებზე. ეს არა თუ მაღალ წოდებაში, დაბალ ხალხშიაც გავრცელდა. პესტალოცცი დარწმუნებული იყო წიგნშიაც იმ აზრს გაატარებდა, რომ ხალხში ბოროტების მიზეზი გაუნათლებლობა არის, გავანათლოთ ხალხი და მაშინ მისი ბედნიერებაც ადვილი მოსაწყობი იქნებაო. პესტალოცცი იმ აზრისა იყო, რომ თავდაპირველათ ოჯახმა უნდა აღზარდოს ბავშიო. გერტრუდა მარტო წიგნების შემწეობით კი არ ასწავლიდა ბავშებს, არამედ უთითებდა მათ სხვა-და-სხვა საგნებზე და მოვლენებზე და უხსნიდა; ბავშებიც ყოველსავე ამას თითქმის თავის თავათ, შეუმჩნეველათ სწავლობდენ. პესტალოცციმ მალე დააარსა გაზეთი, რომელშიაც სულ ბავშების აღზრდის შესახებ სწერდა სტატიებს; შემდეგ დასწერა „ლიმპარტი და გერტრუდას“ მეორე ნაწილი, რომელშიაც მოთხრობილია სოფლის ბედნიერი ცხოვრება გუმმელის მოშორების შემდეგ; ამათ გარდა პესტალოცციმ დასწერა სახელმძღვანელოები მასწავლებლებისა და დედებისათვის.

ამგვარ შრომაში პესტალოცციმ თითქმის ოცი წელიწადი გაატარა; ამ დროს განმავლობაში ის ნახევარჯერ მშიერი იყო. თუმცა მისი პირველი მოთხრობა ბლომათ გაიყიდა, მაგრამ ფული წიგნის გამომცემელმა ჩაიდვა ჯიბეში; შემდეგი ნაწერები კი მას ძალიან ცოტა შემოსავალს აძლევდენ. ბევრი მისი მეგობარი მზათ იყო, დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ პესტალოცცი უარს ეუბნებოდა ხოლმე. ერთმა მეგობარმა პესტალოცცის თავის მამულში იმდენი ფული აძლია, რომ მთელ თავის სიცოცხლეში ეყოფოდა, მაგრამ პესტალოცციმ არ მიიღო, რადგანაც მისი მამული იმდენათ არ ღირდა. საზოგადოებამ ისევ დაიწყო ლაპარაკი: პესტალოცცი რაღაც სნეული ტვინის პატრონია, რომელსაც მხოლოთ ქადაგება შეუძლია, საქმით კი მისგან არაფერი გაკეთდებაო; თუმცა დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ თავის თავისთვის ვერ უპატრონებია და აბა სხვას რას გაუკეთებსო.—მაგას მხოლოთ კალამი მიეცი ხელში, ახლანდელ ცხოვრებას გაჰკიცხავს, დაგვარიგებს, ასე და ასე მოიქეცითო, თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო. მაგრამ შემთხვევამ საშუალება მისცა პესტალოცცის დაემტკიცებია, რომ, თუ კარგი მქადაგებელი იყო, თავისი აზრების ცხოვრებაში გატარება და განხორციელებაც შეეძლო.

1792 წელს საფრანგეთში მოხდა ამბოხება, რომლის შედეგი იყო საფრანგეთის ცხოვრების ძირიანათ შეცვლა. საფრანგეთის ამბოხებამ სხვაგანაც გამოიწვია ამბოხება; შვეიცარია ამხედრდა და თავისი ცხოვრება შეცვალა. მანამდე შვეიცარია დაყოფილი იყო კანტონებათ; ყოველი კანტონი თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა; ამბოხების შემდეგ კი კანტონები ერთმანეთს დაუკავშირდენ, ხალხის დაყოფა აზნაურებათ, თავადებათ და გლეხებათ მოისპო. ამ ამბოხების დროს შვეიცარიის ქალაქი, სტანცი, დაანგრიეს და გადაწვეს. როცა მშვიდობიანობა დამყარდა, შვეიცარიელებმა მოაგროვეს ფული, რომ დაქცეული ქალაქის მცხოვრებლებისათვის დახმარება აღმოეჩინათ; პესტალოცცის კი წინადადება მისცეს: წადი სტანცში და უპატრონო ბავშებისათვის თავშესაფარი დააარსე, ჩვენ კი დახმარებას აღმოგიჩენთო. პესტალოცცის სურვილიც ეს იყო. მას ძლიეს ეღირსა იმ საწადელის განხორციელება, რომელსაც ამდენი ხანი ატარებდა გულში.

პესტალოცცი წავიდა სტანცში, რომელიც საზარელ სურათს წარმოადგენდა: ზოგან დანგრეული იყო სახლები, ზოგან გადამწვარი; მრავალი მცხოვრები ღვთის ანაბარა იყო დატოვებული; ყმაწვილები, ვინც ობლათ დარჩენილიყო, ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდენ; ვისაც დედმამა ჰყავდა, უკეთეს მდგომარეობაში არც ისინი იყვენ სიღარიბისგამო. პესტალოცცის ჯერ ბინა უნდა ეშოვნა; მან ამოირჩია ქალაქში ძველი მონასტერი, რომელიც ნახევრათ დანგრეული იყო, და მალე ასზე მეტ ყმაწვილს მოუყარა თავი; საზოგადოება მას ძალიან ცოტა ფულს აძლევდა. პესტალოცცის უნდა ჩაეცმია ბავშებისათვის, ეჭმია, ესწავლებია. ფული რომ ჰყოფნოდა, მასწავლებლების გარდა ყოველ გვარ მოვალეობას ასრულებდა: მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურეც ის იყო, მზარეულიც. ზოგიერთმა დედამამამ პესტალოცცის იქვის თვალით შეხედა: ხეირი და შნო არაფერში ჰქონდა და ახლა ჩვენ მოგვიგდესო, და თუ აძლევენ პესტალოცცის შვილებს, ხშირათ იმიტომ, რომ ტანისამოსი გამოეტყუებიათ.

პესტალოცცის თავდადებულმა შრომამ, ყმაწვილებისადმი უანგარო სიყვარულმა მალე ნაყოფი მოიტანა. პესტალოცცისთან ბავშები ერთსა და იმავე დროს წიგნსაც სწავლობდენ, მუშაობასაც. ბავშებმა ისე შეიყვარეს თავისი მასწავლებელი, რომ ყოველგვარ შრომაში ეხმარებოდენ: ოთახებს ჰგვიდენ, შეშას აპობდენ, ჰკერავდენ და სხვ. ზოგიერთი მოწაფეები, რომლებმაც სხვებზე მეტი იცოდენ, პესტალოცცის ეხმარებოდენ და უნცროსებს ასწავლიდენ. როდესაც ფრანგებმა მახლობელი სოფელი ალტდორფი აიკლეს, პესტალოცცის წარმოუდგა იქაური ბავშების გაჭირვებული მდგომარეობა და მოინდომა მათი მოყვანა, მაგრამ რითი, როდესაც არც ტანისამოსისათვის და არც საჭმლისთვის მეტი ფული არ ჰქონდა? მაშინ პესტალოცციმ მოუყარა თავი თავის შეგირდებს და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— ალტდორფის ბავშები გაჭირვებულ ყოფაში არიან. გინდათ, რომ აქ მოვიყვანოთ?

— მოვიყვანოთო! ერხმათ უპასუხა ყველამ.

— მოყვანა ადვილია, მაგრამ ჩვენ ფული არა გვაქვს. თუ ისინი მოვიყვანეთ, მაშინ თქვენ ტანისამოსიც უნდა გაუზიაროთ, საჭმელიც; ‘ქრომაც მეტი დაგჭირდებათ, სანამ ისინი შეეჩვევიან. განაგრძო პესტალოცციმ.

— ოღონდ მოვიყვანოთ და ყოველისფერს გავუზიარებთ! უპასუხეს ბავშებმა. პესტალოცციმ მოიყვანა აკლებული სოფლის ბავშები. მისმა [illegible]წაფეებმა დანაპირები შეასრულეს: ყოველისფერი გაუზიარეს ახალ სტუმრებს და ისეთი სიყვარულით ეჭცეოდენ, არიგებდენ და ასწავლიდენ, რომ პესტალოცცი არც კი მოელოდა. პესტალოცცს სურდა, მისი ბავშებიც ისეთი კაცთ მოყვარე და უანგარო მშრომელი გამოსულიყვენ, როგორიც თითონ იყო; ამიტომ ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონეს ხმაროობდა. რომ ჩაენერგა მათთვის სიყვარული, სიბრალული და მძლავერი სურვილი ღარიბი ხალხის დახმარებისა. მცხოვრებლებმა დააფასეს პესტალოცცის ღირსება და, როგორც თავის მსხნელს ისე შეჰყურებდენ. მაგრამ მტრებმა აქაც არ მოუსვენეს პესტალოცცის: მონასტერი წაართვეს, რადგანაც ჯარს დასჭირდა, საზოგადოებამ ფული აღარ მოაშველა და პესტალოცცი იძულებული იყო თავისი ბავშები დაეთხოვა.

ამ მეორე უბედურებამ დიდი ტანჯვა მიაყენა პესტალოცცის და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო; ორმოცდა ათი წლის კაცი წელში მოიღუნა, მთლათ გათეთრდა, სახე დაუნაოჭდა,—ერთი სიტყვით სამოცდა ათი წლის მოხუცს დაემსგავსა. ამას შემდეგ მალე იშოვა მან მასწავლებლის თანაშემწის ალაგი; ნამდვილმა მასწავლებელმა პესტალოცცის მიანდო სწავლება, პესტილოცციც თავისებურათ შეუდგა საქმეს; რვა თვის განმავლობაში ბავშებს იმდენი ცოდნა შესძინა, რამდენსაც სხვები ორი-სამი წლის განმავლობაში ვერ იძენდენ. პესტალოცცის ქების ხმა გაუვარდა. მასთან მოვიდა პროფესორი გერბარტი, რომ საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორ ასწავლიდა პესტალოცცი ბავშებს. პროფესორმა მალე გამოაცხადა თავისი განცვიფრება და თაყვანის ცემა პესტალოცცის ნიჭის წინაშე.

მთელმა შვეიცარიამ დაიწყო პესტალოცცის შესახებ ლაპარაკი. პესტალოცცი მიიწვიეს ქალაქ ბურგდორფში, სადაც მან მალე მთელი ინსტიტუტი დააარსა. პესტალოცცის ისეთი სახელი დაუვარდა, რომ სწავლულები და ცნობის მოყვარეები ამერიკიდანაც კი მიდიოდენ, რომ პესტალოცცი ენახათ და გაეგოთ, როგორ ასწავლიდა ბავშებს. რადგანაც მოსწავლეთა რიცხვი ბევრი იყო, პესტალოცციმ რამდენიმე თანაშემწე მოიწვია. მთავრობამაც სრული დახმარება აღმოუჩინა. პესტალოცცის უნდოდა, მთელ ხალხში გაევრცელებია სწავლა-განათლება. საფრანგეთის იმპერატორს, ნაპოლეონს, რომელიც უფრო თავის თავისათვის ზრუნავდა, ვიდრე ხალხისათვის, პესტალოცცის განზრახვა არ მოსწონდა. შვეიცარიის მთავრობამ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ნაპოლეონს ფეხქვეშ ეგებოდა, მოინდომა, მისთვის ეცადა, ნებია, გააუქმა ინსტიტუტი და პესტალოცცის მოახსენა: საცა გენებოსთ იქ მიბრძანდითო. მაგრამ, როდესაც მთელმა შვეიცარიამ დააფასა პესტალოცცის მაღალი ნიჭი და ზნეობა, მას ველარა დაამარცხებდა რა.

მთავრობის ამგვარმა მოქმედებამ მთელ შვეიცარიაში უკმაყოფილება გამოიწვია. სხვა-და-სხვა ქალაქებმა პესტალოცცის დეპუტატები გამოუგზავნეს. მობრძანდი ჩვენთან, გაგვანათლე და ჩვენი მხრივ ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთო. პესტალოცციმ ამოირჩია ქალაქი ივერდონი, საცა საუცხოო და დიდი ინსტიტუტი დააარსა 1805 წელს. მოსწავლეთა რიცხვი მალე 200 გახდა. მარტო ევროპიდან კი არა, ამერიკიდანაც მოდიოდენ აქ სასწავლებლათ. მრავალი განათლებული პირები მოვიდენ პესტალოცცისთან თანაშემწეთ. ინსტიტუტში მოდიოდენ აგრეთვე სხვა და სხვა პირები, რომ პესტალოცცის მეთოდი შეესწავლათ. მეფეებიც კი მოდიოდენ სანახავათ.

პესტალოცცის მალე აღმოუჩნდა სხვა და სხვა სახელმწიფოში მიმბაძველები და ხალხში ნელანელა დაიწყო გავრცელება სწავლა-განათლებამ. ასეთ დაუღალავ შრომაში და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში პესტალოცციმ გაატარა 82 წ. და 1828 წელს 17 თებერვალს გარდაიცვალა. დაასაფლავეს დაბა ბირრში. ამ დროს აღარც მისი ცოლი იყო ცოცხალი, აღარც შვილი, მხოლოთ შვილიშვილი დარჩა.

1890 წელს ივერდონში პესტალოცცის ძეგლი აუგეს და ზედ წააწერეს: „ყოველივე სხვისათვის, თავისთვის არაფერი“. პესტალოცცის მთელი სიცოცხლე ამ ოთხ სიტყვაშია გამოხატული. ჩვენც დავიხსომოთ ეს პირი და ეს წარწერა, ჩემო მკითხველებო, და თუ ყოველივეს სხვას ვერ შეეწირავთ, იმდენს მაინც ვეცადოთ ხოლმე, რომ სხვაც გვახსოვდეს, სხვისთვისაც ვზრუნავდეთ და არა მარტო ჩვენი თავისათვის, როგორც პირუტყვი, რომელსაც მხოლოთ თავისი კუჭი ახსოვს.

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა და შვილი.

ავკარგე შვილი", დედა ტიროდა—
ჩასდევდა მოთქმით მდინარის კიდეს;
არ დარჩენილა ხმელეთზე კუთხე,
რომ არ მოეელოს ან არა ელიდეს.
ზეცას ვერ მისწედა, თუმცა დაკარგულს
თვალებით ეძებს ვარსკვლავთა შორის.
ახლოს არ არი, ცამდე შორია—
ამითი გულზე ნაღველი მოსდის.
—თავს რაზე იკლავ?— სხვამ დაუძახა.
ცხრა კიდევ დაგრჩა, ნუ თუ არ კმარა?
—ხომ კმარა, მაგრამ მკვდრის ალაგასა,
ცოცხალი გულში ვაიჭერს განა?!..
მას როდი ესმის რას ეძახიან,
მისდევს მდინარეს პირის ხოკითა,
ვინ დააბრუნებს იმას უკანა
თუნდა დაბან ასი თოკითა?!
იარა ბევრი, ზღვას მიაღწია
და შეუდრკელათ გადვარდა შიგა,
ზღვამ ხელი არ ჰკრა: აქ ნუ მოხველო,
ზვირთებმა ზღვისამ უფსკრულს დალიკა.
იქაც ეძია და დღესაც ეძებს,
მინამ არ ჰპოვებს არ დაბრუნდება;
ასეა ყველგან საცა დედაა,
ასეა ყველგან დედის ბუნება.

—

ზღვათა მეფემა დარბაზს იწვია
დიდის ზეიმით და ამბით ისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვენათ მას მიართვა თავის სალარო,
გადაუშალა თავისი ქისა.
მტირალი დედის მოსალხენათა
მოიპატიჟა მნათობნი ცისა.
ისეთი ლხინი და მასპინძლობა
კაცთაგანს ნუ თუ გენახოსთ ვისა?
მგლოვარე დედას ვერ უსალბუნა,
იმას უფროცა ცრემლები სდისა.

—

შვილმაც იტირა მკვდარი მშობელი,
მჭმუნვარე სახით სამ დღესა ელიდა,
მეოთხესა თქვა: „ჭმუნვით რას ეშველი,
ბევრის ნაღველით და ცრემლის ღვრითა?!
მეხუთეს დაჭრა ბუკს და ნაღარას,
ლხინი მოძებნა დარდის წამლათა;
შესანდობარსა დედისას ჰსვამდა,
დარდს მას ატანდა მტვრათ და კვამლათა.
მხოლოდ ფიცის დროს დედის სულს ჭფიცავს,
თუ არა ჭირს—რა სიმართლისადა;
თუ გაუჭირდა არ ეზოგება
მშობლისა სული თავის ხსნისადა.

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მირაილა

(ფრანგულიდან).

ერთ სალი კლდის ბეგზე, რომელსაც ხმელთა-შუა ზღვის მოლურჯო ტალღები ძლიერათ ეხეთქებოდენ, ამართული იყო ერთი იმ დაბალ სახლებთაგანი, რომელშიაც ბინადრობენ ხოლმე კორსიკაში მარჯნის მეძიებელი მცურავები. კლდიდან ზღვის ნაპირამდის ჩადებული იყო კიბე, მეორე მხარეზე ვაკისკენ დალმართი დაეშვებოდა.

ეს სადგური ეკუთნოდა მარჯნის მაძიებელ პასკალს. ხუთიოდე ქოხი, რომელნიც ერთმანეთს მიეგვანებოდენ, აქვე ერთმანეთთან ახლოს იდგენ. კარგა მანძილზე სხვა ძე ხორციელის სადგომი არ მოიპოვებოდა. გარშემო დიდი სიჩუმე სუფევდა.

მარჯნის მეძიებლებს საქმე ცოტა ჰქონდათ. მარჯნის გასათლელი დაზგა მუდამ გამოტეერიანებული იყო, ბაკზე გადაფენილი ბადე იშვიათათ იყო ხოლმე დასველებული. როდესაც დადგებოდა მარჯნის ჭერის დრო, პასკალი მოამზადებდა თავის ნაეს „მარგალიტას“ და გასწევდა თავისი ხუთიოდე მეზობლებით მარჯნის საძებნელათ; იტალის კიდეებს აუხვევდა, ქალაქ მარსელამდის მიეიდოდა, იქ ნაშოვარს ყოველთვის კარგ ფასათ გაჰყიდდა და ისე დაბრუნდებოდა ხოლმე სახლში.

ერთხელ ამ მოგზაურობის დროს, იტალიის კიდეზე, პასკალმა შეირთო ცოლათ ერთი ლამაზი ახალგაზდა ქალი, სახელათ ტერეზა. ქალიშვილი ობოლო იყო, არავინ გააჩნდა გარდა ორი უნცროსი ძმისა და ერთი ხანში შესული გადიისა, რომელსაც ეს სამივე გამოეზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ მასწავლე მარჯნის თლა, — ეუბნებოდა ახალგაზდა ცოლი პასკალს, — და როდესაც შენ ზღვაში იქნები, საქმე მე გამართობს; — დამაიწყებს შენი მუშაობით რა განსაცდელშიაცა ხარ.

მაგრამ, როდესაც ტერეზა დაბინავდა სახლში, მუშაობა და რაიმე საქმის გაკეთება არა ჩნდარა; ხშირათ პასკალს დღისითაც ეძინა. ის ორიოდე კაცი, ვინც მოდიოდა მის ქმართან უცხო ენაზე, კორსიკულათ ლაპარაკობდენ და ამას არ ესმოდა. ტერეზამ საშინლათ მოიწყინა. კიდევ კარგი რომ შვილი გაუჩნდა, ქალიშვილი ეყოლა, რომელსაც თავისი საყვარელი სამშობლოს სახსოვრათ სახელათ მირაილა დაარქვა, და ამას იქით ახალგაზდა დედა შვილის აკვანთან თავს ბედნიერათ გრძნობდა.

პასკალსაც გაგიჟებით უყვარდა თავისი პატარა მირაილა.

გაიარა წლებმა. ერთ დილას გაფითრებულმა და ფერ მიხდილმა ტერეზამ ისეთი ნაღვლიანათ და უიმედოთ დაჯდა ცქერა თავის ქმარს, რომ იგი შეკრთა, ფერი წაუვიდა. მას აქეთ ტერეზა ქმარს ალარას ჰკითხავდა.

ამ დღიდან საცოდავმა ქალმა დაიწყო ავათმყოფობა, მალე ლოგინათ ჩავარდა. როდესაც იგრძნო, რომ კვდება, თავის ძმებს წერილი მისწერა, რომ საჩქაროთ გამოეგზავნათ მისი გადია მაგელონი.

მოვიდა თუ არა მოხუცებული გადია მომაკვდავი ქალი დიდხანს, საიდუმლოთ რაღასაც ელაპარაკა. ქმარი ამ დროს შინ არ იყო.

როდესაც ქმარი სახლში დაბრუნდა მომაკვდავმა ძლიესლა მოასწრო ქმრისთვის ჩამოერთმია სიტყვა, რომ მაგელონს პასკალი თავისთან სახლში შეინახავს და მირაილას კი გაგზავნის ასაზრდელათ, ბიძებთან, რადგან, დედის სიტყვით, კორსიკის ჰაერი ყმაწვილს სწყინდა; ამას შემდეგ უბედურმა სული განუტევა.

პასკალი წელიწადში რამდენჯერმე მიდიოდა თავის ქალიშვილის სანახავათ და ხედავდა. რომ ყმაწვილი თანდათან ლამაზდებოდა: მეტათ უხდებოდა შავი ლენტით შეკრული თმები და უფრო ასპეტაკებდა უიმისოთაც ბროლივით თეთრი რბილ ყელს ზედ შემოხვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ჩიქილა. მირაილას თვალები, ლიმილი, ერთობ მთელი შეხედულობა დულობა შვენიერი ჰქონდა და თავის დედას ძალიან მიეგვანებოდა.

***

ერთ ხელ ზღვა საშინლათ ღელავდა, ქარი არე მარეს გლეჯდა, მრავალი შავი ღრუბლები ცაზე მოცურავდენ. ბინდი იყო.

მაგელონი თავის სართავს მოსჯდომოდა და ბუნების რისხვას შეცქეროდა, ამ დროს კიბეზე ფეხის ხმა მოისმა.

— მშვიდობა შენ, მაგელონო, სად არი ჩვენი უფროსი; პასკალ, პასკალ, სადა ხარ!

— აქა ვარ, რა არი? უთხრა პასკალმა და ოთახის კარებში გამოჩნდა.

ორიენი ერთათ წავიდენ სადღაც.

დაღამდა. ეს ორი კაცი მიდიოდენ ზღვის ქვიან ნაპირებზე. სახლს კარგა შორს გასცილდენ.

პასკალმა თავისებურათ დაუსტვინა, ამ სტვენაზე კლდეებიდან გამოცვივდენ ოთხი ვაჟკაცი ნახევრათ ტიტველნი, ეს საშიში და უცნაური სანახავი ის კაცები იყვენ, რომელნიც პასკალთან ერთათ ნავით დადიოდენ ვითომ და მარჯნის საძებნელათ.

ერთმანეთს ისე ჩუმათ ელაპარაკებოდენ თითქოს ეშინოდათ ზვირთებმა არ გაგვიგონო.

— ყველაფერი მზათა გაქვთ? ჰკითხა პასკალმა.

— დიახ, ბატონო.

— ჩანგლები?

— აი, გახლავთ.

— მაშხალები?

— აი, ისიც.

— მაშ გავსწიოთ, ბრძანა პასკალმა.

დიდი ჭექა-ქუხილი იყო. ზღვის ტალღები საშინელი რიხით

ეცემოდენ კლდეებს. ეს მეზღვეები ეშმაკებივით შეცქეროდენ ზღვაში მოცურავე პატარა ხომალდს, რომელსაც იალქნები დაეკეცა.

— გამბედაობა! დაიყვირა უფროსმა; მისმა თანამოგზაურება დაანთეს მაშხალები და განიმეორეს დაძახების ნიშანი.

მოისმა ისეთი ძალოვანი ბრახანი, და გულ საკლავი ყვირილი, რომ ამ ხმაურობამ ტალღების გრგვინვაც კი დაჰფარა.

ოც საქენზე ზღვის ნაპირიდან მოჩანდა პატარა დამსხვრეული ხომალდი, რომელშიაც წყალი შედიოდა ყოველ მხრიდან; საცოდავი ტრიალებდა ისქვილის ბორბალსავით და უფსკრულისკენ მიექანებოდა.

პასკალი თავისი ამხანაგებით მაშინვე ზღვაში ჩავარდენ, შეხტენ ზღვის კლდეებზე და იქიდან რკინის კაევებით მოიგდეს ახლოს კასრები, ზანდუკები და სხვა ბარგი, რომელნიც ზღვას მიჰქონდა. გაშმაგებულ ტალღებს რამდენიმე კაციც ზღვაში გადაეყარა, რომლებიც ცურვით ცდილობდენ თავის გადარჩენას.

— აბა გავსწიოთ, გავსწიოთ! ყვიროდა პასკალი და თავისი გამბედაობით მაგალითს აძლევდა.—არ იქნება მაგათი გადარჩენა, მხოლოთ მკვდრებს არა აქვთ ენა, ვერ ილაპარაკებენ და თავის სიტყვების დასამტკიცებლათ ერთ უბედურს, რომელიც იქვე ახლოს ფართხალობდა და ცურვით უნდოდა გადარჩენა, ისეთი საშინლათ ჩაარ, ტყა თავში, რომ ზღვამ მაშინვე ჩანთქა უბედური. ამ ყაჩაღებს უნდოდათ მოეშორებიათ ყველა სულდგმული, ვინც კი ამათი საქციელის მნახველი იქნებოდა.

პასკალის რკინის კაეი დაუსვენებლივ მუშაობდა, უცბათ დედაკაცის კაბას მოედვა. მან კაეს ველარ მოაშორა დახვეული კაბა და ამ დაბრკოლების ასაშორებლათ თითონ კაეი მოიგდო ხელში. პასკალმა რომ დაინახა ადამიანის სხეული შეძრწუნებული გახტა განზე და საზარლათ შეჰყვირა. მან იცნო მთვარის შუქზე თავისი ცოლის სახე, სწორეთ ისეთი, როგორიც იყო უბედური უკანასკნელათ კუბოში.

ამ ყვირილზე მოირბინა მისმა ამხანაგმა პიეტრომ, აიღო ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ქვიშაზე რომ ეგდო მაშხალა და მიუახლოვდა იმ გვამს, რომ-ლის წინ პასკალს საპოწარკვეთილებით დაეჩოქა.

ეს იყო სულ ახალგაზდა ქალი იტალიანური ტანისამოსით, სახეზე მკვდრის ფერი ედვა. მან გაახილა თვალები და შიშით აქეთ-იქით გადიხედა.

— მირაილა! დაიყვირა პასკალმა.

მაგრამ ყმაწვილმა ქალმა მაშინვე თვალები ისევ დახუჭა და თავისი შვენიერი თავი უგრძნობლათ ჩაჰკიდა.

ვინ იფიქრებდა, რომ საჭირო იყო მამისთვის შვილის სახლში მისელა უსათუოთ შეეტყობინებიათ? მირაილას ორივ ბიძებს ეს ფიქ-რათაც არ მოსელიათ, მისი გამოგზავნა ისე უცებ მოხდა. ხოლერა გაჩნდა იმათ ქალაქში და ერთმა ბიძების ამხანაგმა იკისრა მათი დის-წული მოეშორებია ხოლერიან ადგილისათვის და მამისთვის მიეყვა-ნა, ხომალდს მაინც ურდა გაეელო კორსიკისკენ. ორიოდ წუთს მოა-ხერხეს მირაილას გამოსტუმრება. დანარჩენი ადვილი გასაგებია. პას-კილი და მისი ამხანაგები ზღვის ყაჩაღები იყვენ.

* * *

მოხუცებული მაგელონი ნაელიანათ ჩასცქეროდა ბავშის ფერ-მკრთალ სახეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა.

ღმერთმა თითქო შეიბრალა საბრალო გადია. მირაილა ცოტ-ცოტა მოეიდა გონზე და მისუსტებულმა დაიძინა ღრმა ძილით.

პასკალი მხოლოთ ახლა მოშორდა ქალიშვილს, გამოეიდა ჰაერ-ზე და მისუსტებული დაეცა ქვის სელზე. თოფ ნაკრაესაეით და მეხდა-ცემულსაეით იყო ამისთანა საშინელი ამბით, რომელიც თავისიეე გაუფთხილებლობით იყო გამოწვეული. ცოტა ხანს უძრაეათ იჯდა, შორეულ ტალღების ხმაურობას უგდებდა ყურს, მაგრამ არა ესმო-დარა, შორისკენ გაიყურებოდა, მაგრამ არას ხედაედა ამ წლედიად ღამეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ!—წამოიძახა მან,—მე დაწყეველილი, შებრალების სიც არა ვარ!...

დიდხანს იყო პასკალი შეპყრობილი ღრმა მწუხარებით, ნაღვლისაგან თავი ვერ დაეღწია; ზოგჯერ მოისმოდა ხრინწიან ხმით გოდება:

— მაპატიეთ!, შემიბრალეთ!, შემიწყალეთ!

როდესაც ბოლოს მან თავი მაღლა აიდო, ცა გათეთრებულიყო, თენდებოდა; აღმოსავლეთისკენ ერთათ ერთი ვარსკვლავი ანათებდა არემარეს და თავისი დიადი სხივებით დედამიწაზე ჰფენდა ცოცხალ ნათელს.

— ო, დილის ვარსკვლავო! შეჰყვირა უბედურმა, მითხარ რამე ღვთიურ მოწყალებაზე, იგი ყველას აპატიებს და მისგან ქვეყანაზე მოვლენილ სიკეთეს ბოლო არა აქვს!..

***

გადიამ საჩქაროთ მოაგროვა თავისი ბარგი, შეჰკრა და ხმა ამოუღებლივ ემზადებოდა წასასვლელათ.

— მიდიხარ, მანებებ თავს? ჰკითხა პასკალმა.

— დიახ, მივდივართ. უპასუხა მოხუცმა გადიამ,—მირაილა მიმყავს.

— შემიბრალე! შეჰყვირა უბედურმა,—მე შენთვის არა დამიშავებია.

მოხუცებულმა თვალები ზიზღით შეაშტერა და უთხრა:

— პასკალ, თუ მე აქამდის შენ პურს ეჭამდი, ეს იმიტომ, რომ შენ ცოლს აქ ყოფნის ფიცი მივეც, ამით უნდა ამეშორებინა თქვენი შვილის აქ მოყვანა. ეს იყო ჩემი ძვირფასი მკვდრის უკანასკნელი სურვილი. თითონ საბრალომ ველარ გაუძლო თქვენ საზიზღარ ხელობას, არც მოინდომა თქვენი სამართალში მიცემა და თავისი უმანკო სული ღმერთს ჩაბარა. ღმერთი აღარ მაპატიებს ცოდვას, თუ რომ ფიცს, რომელიც მამაკვდავმა ჩამომართვა, ამას იქითაც შევინახავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დარჩით, დარჩით ორიეენი აქა! დაიყვირა პასკალმა, მე ვარ უბედური, ღირსი არა ვარ პატიებისა, მაგრამ თუ მირაილას პაწაწა ხელები მაღლა ზეცისკენ აღიპყრება ჩემ საპატიოთ, ღმერთი შემიბრალებს და მომცემს დროს, რომ შევინანიო ცოდვები.

მოხუცმა გადიამ ურწმუნოთ თავი ჩაჰკიდა და მერე მიიხედა პასკალისკენ.

— შენ მართალი ხარ, რომ არ იბრალებ ჩემისთანა საზიზღარს, მე თითონ მეჯავრება ჩემი თავი და უფრო სასტიკათ ვსჯი ჩემ მოქმედებას, ვიდრე სხვა ვინმე. იყავ მოწმეთ, მსურს მოვინანიო ცოდვები, მერე ისე მოიქეცი, როგორც გსურდეს.

პასკალმა ჩვეულებრივი ძახილით მოაგროვა თავის ნავის „მარგალიტას“ ამხანაგები.

— მეზღვეებო, შესძახა მან ისეთი ბრძანების კილოთი, რომლის მორჩილებას, რაც უნდა ზღვის ღელვა და ტალღების ხმაურობა ყოფილიყო—მისი ამხანაკები დაჩვეულნი იყვენ.—დღეის იქით პასკალი და მისი ნავი „მარგალიტა“ აღარ არსებობენ. ახლა თქვენ წინ დგას ნავი „მირაილას“ უფროსი, რომლის მიზანი იქნება ზღვაში დალუპულების გადარჩენა. დღეიდან ვიწყებ სხვებისთვის თავ განწირულ ცხოვრებას. ვისაც უნდა რომ ჩემთან ერთათ დაადგეს ამ გზას დარჩეს აქ, სხვებს კი ვთხოვ, რაც შეიძლება მალე, მომშორდენ, არ დამენახვონ თვალით, შორს წავიდენ. დღეის იქით, მე ვიქნები იმათი მტერი.

ახლა კი ვიღებ ხელში ჩემ ბადეს, მოვუჯდები ჩემ მარჯნის გასათლელ დაზგას, თქვენც დაადექით ჩემ კვალს, ვიმუშაოთ, ვეცადოთ სხვას სიკეთე მოვუტანოთ და მუდამ ის გექონდეს თვალ წინ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ჩვენი ამ რიგათ ცხოვრება, მაინც ჩვენ ცოდვებს ვერ მოვინანიებთ, თუ ღმერთი არ შეგვეწევა.

პასკალის ამხანაგები გაოცებული უძრავათ იდგენ და კანკალებდენ. მაგელონი ხელებ აპყრობილი ტიროდა და ეეედრებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა პასკალისგან მხურვალეთ წარმოთქმულ სიტყვების შემდეგ.

ამ დროს ახალგაზდა ავათმყოფმა გაიღვიძა, შემოესმა უცნობი კილოთი ლაპარაკი და გამოვიდა.

— პისკალ, უთხრა მაგელონმა,—გადაეხვიე შენ ქალს, ღმერთმა მას დაუბრუნა მამა.—მერე ჩუმათ უთხრა—ეგ ისეთი უმანკო ანგელოზია, რომ უშველის მონანებულ მეთევზეს სვინიდისიერ კაცათ გახდომას.

ან. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრის თავ-გადასავალი.

ეტათ ცელქი და დაუდეგარი იო ჰატარა მიტო, მისგან მოსვენება არა ჰქონდა არც დიდს და არც ჰატარას. დილას გამოიღვიძებდა თუ არა დაწყებდა ყვირილს: „დედაჩემო, საუზმე მინდაო“. თუ ხმას არავინ გასცემდა: „ყვირებდა, ყვირებდა და ბოლოს დაქანცული გაიშხლართებოდა ძიწაზე, გაასარხალებდა ფეხებს და დაიწყებდა ტირილს სანამდი ; არ აუსრულებდენ სურვილს, არ გაჩუმდებოდა. რა კი საუზმით გამოიგვერდებოდა გავარდებოდა გარეთ, დაუძახებდა მეზობლის ჰატარა ბიჭებს გავიდოდენ მინდორზე და რიკტაფელა, ქვა-სალობია, ბურთაობა მისი ხელიდან გამოდიოდა. არა ერთხელ გაულაბავს დედას: „ნუ ხარ აგრე ცელქი და გარეულიო“ მაგრამ, გავიდოდა თუ არა მინდორზე, დედის დარიგებას ქარს ატანდა. საღამოს მოვიდოდა სახლში დაღალული დაქანცული, მიეგდებოდა ტანთ-გაუხდელი და მიიძინებდა.

მაისის შვენიერი და სასიამოვნო საღამო იო. მზე ის იო ჩახვლას აპირებდა რომ უცბათ მოიღრუბლა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ქუქუნა წვიმა. ჩვენ ცელქს ამ დროს ნიგვზის ძირში ეძინა. და ღრმა სიზმარში იყო გართული. მას ესიზმრა: „ვითომც გუშინ რომ ჩიტის ბუდე დაისწავლა ვიღაცას ენახა: ჩამოენგრია, ბარტყები ამოესხა, და ცარიელი დანგრეული ბუდე დაეტოვებია ხის რტოებში“. ამ სიზმარმა უეცრათ შეახტუნა ჩვენი ჰატარა ცელქი და გამოაფხიზლა, როცა თვალები გამოახილა, მაშინ იგრძნო რომ წვიმდა.

— ვაიმე, ღმერთი არავის გაუწყრეს და მართლა არავინ გადმოასხას ჩემი ჩიტის ბარტყებიო,— წამოიძახა საჩქაროთ, თვალები მოიფშვნიტა და გაუდგა გზას; მიდის, მაგრამ არ იცის სად მიდის, ძილი ისევ თვალებში უდგია. ი გაიარა ჰატარა ბუჩქნარი და შევიდა ღურღუმელტუეში. უცბათ შეჩერდა, მერმე ისევ გასწია, მივიდა ერთ ხესთან: შემოუარა, აათვალ-ჩაათვალიერა.

— ეჰ, როგორ ამებნა დავთარი, ეს როდის არი! ის მუხა იყო და მე კი კვინცხას ვეპოტინები, თქვა და გაეშურა იქვე ახლო მუხისკენ. მივიდა და შეჩერდა: შემოუარა, მერე ზევით ბუდისკენ აიხედა და სიხარულით თავ-ბრუ დაესხა, დაინახა რომ ბუდეში ბარტყები ისევ ისხდენ.

— ოჰო! კარგა დაფრთიანებულან, დღეს რომ არ მენახა, სწორეთ გაფრინდებოდენ. ახლა როგორ ვქნა? ფეხზე გავიხდი თვარა ეს ძირგასახმობი მუხა ერთობ ლატაა. მერე დასველებული რომ არ იყოს კაია, მარა დასველებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რაკია მნელი შესასვლელია, ეს ოხერი. ... ჩემი ცოდვით საკვე ჩიტს ზედ კინწირობზე გაუსკუპვია ბუდე.

საჩქაროთ ფესთ გაიხადა და სწრაფათ თრიასავით აცოცდა ერთ როკზე, ერთიდან მეორეზე და მივიდა ბუდესთან.

— ახლა რა ვუყო? ხელით ამოვიყვანო? აჰ სელი რომ დაინახონ ბარტყებმა მაშინვე ამოფრინდებიან! მოდი, ქუდს წამოვაცვამ ჯოხზე და გადავაფარებ ბუდეს, მერე სადღა წამიყვანენ?

მოიხადა ქუდი და წამოაცვა ჯოხზე, გადასწია ბუდეზე გადასაფარებლათ, მაგრამ ქუდმა ძირს ტეპანი მოიღო.

— ოი, შენ და ჯანდაბა შენ თავს, რა ვუყო ახლა? ერთხელ ძლივს ამოვედი და ახლა კიდევ რიღათი ავიდ-ჩავიდე?

დიდხანს ფიქრობდა ჩვენი მიტო, როგორ ექნა, რითი ამოესხა ბარტყები. ბოლოს თქვა:

— მოდი ხელით ვშინჯავ? იქნება არ ამოფრინდენ და თუ ამოფრინდებიან ვუთვალთვალებ, მერე ძირს უფრო ადვილია, მივეპარები ბუჩქში, დავიჯერ და სულ დედას ვუტირებ. დამდება მარა არაფერია!.. მაინც მივაგნებ ჩემ სახლს, ბარტყებიც თუ დავიჭირე, მეტი რაღა მინდა?..

მიტოს ის უხეთქა გულს რომ დედალ-მამალი ჩიტები თავს დასტრიალებდენ და თითქო ეუბნებოდენ: „შე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღმერთო! რას გვერჩი? რა დაგიშავეთ? ეზოში გავიკეთეთ ბუდე — ბარტუები წაგვართვი და ჩვენც კინაღამ დაგვხოცე, ახლა აქ გავიკეთეთ და აქაც მოგვაგენიო?

მიტომ მათ ჭულოპინს უური აღარ ათხოვა, იგი მარდათ გაცოცდა ტოტზე და ჩაჭეო ხელი ბუდეში: ბარტუებმა ერთბაშათ იგრიალეს და გაცვივდენ ბუჩქებში. მიტოს ეწუინა, მაგრამ მალე ინუგეშა თავი:

— ფიქრი არ არი, ისევ დავიჭერ. ჰირდაპირ რომ მივარდე და დავიწეო ბუჩქებში შლაგუნი არ ივარგებს, დამემალებიან. ისევ მივეპარები. მართალია ღამდება, მაგრამ არაფერია!.. უველას დავიჭერ.

სწრაფათ ჩამოცოცდა ხიდან, საჩქაროთ ქუდი მონახა და ჩამოიცვა თავზე.

— ახლა აი რას ვიზამ? მივიმალები ხის ძირში და დავუგდებ ეურს, როცა დედა ღასაბუდებლათ მოვა და ბარტუები ჭულოპინს დაიწეებენ, სწორეთ მაშინ მივეპარები და დავიჭერ!..

მართლაც, ჰატარა ხანს უკან მოფრინდა დედა — ჩიტი და დაუწეო თავის შვილებს მკაფიოთ ძახილი: „წვი, წვი, წვი.“

მიტომ სული განაბა და გულში ფიქრობდა:

— ახლა მინდა ბიჭობის გამოჩენა, აი!.

დედა ჩიტს რომ ბარტუებმა ხმა არ გასცეს, ხიდან ძირს ჩამოფრინდა დაგოგავდ და გაიძახოდა: „წვი, წვი, წვიო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, როგორც იყო, მონახა თავისი ბარტყები. ბარტყებმა რომ დედა დაინახეს ერთ-ხმათ შესჭყლოპინეს; „წრრრ, წრრრრ“

მიტო მთლათ კანკალმა აიტანა, აიწურა, მიეპარა და უნდოდა თავზე გადამხობოდა ბუდეს, რომ ბარტყებმა ერთათ იფრთხიალეს და გადაფრინდენ მეორე ბუჩქში, მეორედან—მესამეში, მესამედან—მეოთხეში და ასე ვინ იკის სად გაიტეუეს საცოდავი მიტო, ის არც ეკალს არჩევდა და არც რიეეს სიხარულით. ასე ეგონა რბილ კოლინდარზე დავსეირნობო. დიდ-ხანს იხეტიალა მიტომ ტეეში, ვერც ბარტეები დაიჭირა და ტეუილათ დაიღალ-დაიქანცა, კარგათაც დაღამდა.

— რა ვქნა ღმერთმანი? არ ვიცი რა წეალს მივცე თავი! აგერ ვახშმობა იქნება, უმთვარო ღამეა. ჯერ დღეც ბნელა ამ ცეცხლისგან დასაწვავ ტეეში და ახლა კიდევ უმთვარო ღამეა! რა ვქნა? წვიმა მაინც არ იეოს. ეს სამაგელი ქარიც რომ თან მოჰყვა!

იფიქრა, იფიქრა მიტომ და ბოლოს უეცრათ წამოიძახა:

— ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვახერხებ, ახლა ციცინათელაები ბლომათ დადიან ხევ-ხუვში, მოდი წავალ იმ ღელისკენ, ცაცინათელეებს ბლომათ დავიჭერ, ავაცვამ ჯო-

ხზე დავიკავებ ხელში და ფარანზე უკეთ გამინათებს ეს ბავშვი
—აი ეს კაი მოგონებაა მე და ჩემმა ღმერთმა!

ამ აზრით ის მთვრალსავით წაბარბაცდა ღელისკენ, სადაც, ბლომათ დაფრინვიდენ ციცინათელაები. მიტო მივიდა წყლის ნაპირას და შეჩერდა.

— რამ ხელა მიდის ეს ოხერი წუალი! ჯერ ისეც ხომ დიდია და ახლა წვიმის ღელეებიც ამას ემატება, დედაა! რამ ხელა ქვებს აჯახებს ერთ-მანერთზე, ეს დასაქცევი!

ამ ფიქრებში იყო მიტო გართული, რომ წუალმა ძლიერ იმატა, უცებ გამოეცალა მიწა ფეხ ქვეშ და ჩვენმა ბატარამ ძლივს-ღა მოასწრო ერთი ვაი დედას დამახება და წუალში ტუაპა კი გასმვრა.

დიდ-ხანს ებრძოდა გაშმაგებულ ზვირთებს ბატარა მიტო, ხან ქვას მოეჯიდა, ხან ხეს, მაგრამ არა ეშველა რა. წუალმა თავისი ჭქნა, დიდ-ხანს აგორა ხერგებში საცოდავი და ბოლოს ამოდვა დიდ ქვას ქვეშ. წუალი კვლავ ღელავდა და შესაზარათ გვრგვინავდა, თითქოს მიტოზე ჯავრს ერილობდა: ახია შენზე, რას ერჩოდი საწუალ ჩიტის ბარტყებსო.

მიტოს დედ-მამამ სულ ჩამოიარეს სოფლები, სად არ ეძებეს, მაგრამ ვერა გაიგეს რა და გადასწყვიტეს, რომ სწორეთ წუალში დაიხრჩოო.

— ეჰ დაიღოცა ღვთის განგება, შუბლზე ისა ჭქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია დაწერილი, ამბობდა მიტოს მამა, რომელსაც ლაპა-ლუპით გადმოსდიოდა ცრემლები.

დედის მწუხარებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, მიტოს მამა წავიდა წყალზე მენავეებით. მენავეებმა ჩაუშვეს წყალში ნავები და ბევრ მებნას შემდეგ გაჭირვებით ამოაძრეს სილაში ჩაფლული საცოდავი მიტოს გვამი, სულ მთლათ გაშავებული. დედამამამ ბევრი იტირეს, ბევრი იგლოვეს და მესამე დღეს მიაბარეს საბრალო მიტო შავ მიწას.

აი, ჩემო ჰატარა მკითხველო, ასე მოუვიდა ცელქს და დედმამის გაუგონარ მიტოს.

არ. ჯუმ--ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურული გლეხი.

ერთი გლეხი ვარ საწყალი—ღარიბი ულ-
ველ გვარათა,
საბნათ ცა მაქვს, და ტუე-ველი ლეიბათ,
სახლ და კარათა,
ხან გრძლივმა ავათმეოფობამ გამხადა
მვალ და ტუავათა,
მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ, თავს არ
ვცნობილობ ავათა.

—

ტანზე მაცვია სულ ცოტა და რაც მაქვს ისიც ძველია,
მუდამ ბუნების ხელში ვარ—ციცი არის თუ ცხელია,
საუკეთესო საჭმელი ჩემი მჭადი და ყველია,
მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ, კიდევ სიკეთეს ველია.

—

ერთი მეორის უკლახეს მომადგა სამი ავია:
ავათმეოფობა, გლეხობა, და სიღარიბე შავია,
წამკიდეს ხელი კისერში ზურგზე ამაძვრეს ტუავია;
მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ, არ მოკვდეს ჩემი თავია.

თეოფილე მახარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხოველების უნებური მოგზაურობა და მათი გამრავლება უცხო ადგილებში.

(ნ. რუბაკინის თხზულებიდან).

იმშილი, წყურვილი, სიცივე, სიცხე, მტრები და სხვა აიძულებს ცხოველებს მოშორდენ იმ ადგილებს, სადაც გაჭირვება მოელით და მოძებნონ უფრო მარჯვე ადგილი. შემდეგ ისინი ისევ ბრუნდებიან თავის სამშობლოში. მაგრამ ზოგი ერთ შემთხვევაში ცხოველები მოგზაურობენ თავისდა უნებურათაც... ადამიანი, თითონ ცხოველები, წყალი და ქარი უწყობენ ხელს იმათ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას და იქ მოძრავლებას. მაგალითათ, ოთხასი წლის წინათ ამერიკაში სრულებით არ იყვენ ცხენები. პირველათ ისინი ისპანელებმა მიიყვანეს გემებით. ცხენები მალე გამრავლდენ; ბევრი მათგანი გავარდა ტყეში და გაგარეულდა. ახლა ამერიკის თვალ გაუწვდენელ მინდვრებში მრავალი გარეული ცხენია.

არც ძაღლები იყვენ ამერიკაში ევროპელების მისვლამდის, მაგრამ მერე მალე გამრავლდენ, იმათში ზოგნი გაგარეულდენ და შეიქნენ ისეთი ავები და საშიშრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მაგალითათ მგლები.—ფუტკარიც ევროპიელებმა მიიყვანეს ამერიკაში.

ხალხის შემწეობით ბევრი ცხოველი გამრავლდა დედამიწის სხვა და სხვა კუთხეში. სადაც ადამიანი გადასახლდებოდა, თან მიჰყავდა შინაური ცხოველები, რომლებიც მრავლდებოდენ ახალ ადგილზე. ზოგი ერთი ცხოველები ადამიანის უნებურათაც გადასდევენ მის ბარგს. მაგალითათ, ეველამ იცის, რომ გემებზე ხშირათ არიან თაგვები. ისინი მთელი წლობით მოგზაურობენ გემით. როცა გემები ნაპირზე დგებიან, თაგვებიც მიწაზე გადადიან. ამ ნაირათ თაგვები ბევრ ისეთ კუნძულზე გამრავლდენ, რომლებიც შუა ოკეანეში მდებარეობენ. ხსენებულ კუნძულებზე ბევრი ისეთი ცხოველებიც გვარობენ, რომლებსაც კაცი არასოდეს არ მიიყვანდა. მაგალითათ, დიდი ჯიშის გველები და ხვლიკები. ბაღლინჯების მოგზაურობა ადამიანის ბარგში ხომ ეველასაგან ცნობილია.

ბევრ გვარათ მრავლდებიან ქვეყანაზე ცხოველები. არის მაგალითები, რომ ქარს მოუტანია კალიის გუნდი და გადუტანია ზღვაზე. ძლიერ კუდიან ქარს აუტანია სხვა და სხვა მწერები და სხვა წვრილი ცხოველები და წაუღია მაღლა ჰაერში. ზევით და ზევით ქარი უფრო ძლიერია, ვიდრე ძირს და ამ ნაირათ აფრენს ისეთ ცხოველებს, რომლებმაც თითონ არ იციან ფრენა. ქარს შეუძლიან რამდენსამე ას ვერსზე გადიტანოს ცხოველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ისინი წვიმის მსგავსათ ცვივიან მიწაზე.

წიგნებში ბევრი მაგალითებია მოთხრობილი, რომ წვიმასთან ერთათ დედამიწაზე ცვიოდა სხვა და სხვა ჯიშის თევზები, კიბოები, ლოკოკინები ⁄ სხვა. რასაკვირველია უმეტესი ნაწილი ცხოველებისა ჰაერშივე იხოცება, მაგრამ ბევრიკი ცოცხალი ვარდება მიწაზე; ამ ნაირათ ეს ცხოველები გადადიან უცხო ქვეყნებში და იქ მრავლდებიან. ამის მაგალითები მოყვანილია ლუი—დე-რუქემონის წიგნში: „ახალი რობინზონი", ეს ამბავი ახლა იბეჭდება რუსულათ, (რუქემონი ოცდა ათი წელიწადი იყო ავსტრალიის ველური ხალხის წინამძღოლათ და დიდი ხანი არ არის, რაც ევროპაში დაბრუნდა).

წყალსაც ხშირათ გადაჰყავს ცხოველები ერთი ადგილიდან მეორეზე. ხშირათ ხდება, რომ ქარიშხალი ჰგლეჯს დიდ ხეს, რომელზედაც ამ დროს სხვა და სხვა ცხოველები სხედან, და აძლევს ნიაღვარს; ხე მიაქვს წყალს ზღვაში და რამდენსამე ასს ვერს გაატარებს ხოლმე, სანამ რომელსამე კუნძულს მიადგება, ცხოველებიც გადადიან მიწაზე და იწყებენ იქ გამრავლებას. ზღვაოსნებს ბევრჯელ უნახავთ ხეზე მოხვეული დიდი გველი და სხვა ცხოველები. ასე მოგზაურობენ ცხოველები თბილ ქვეყნებში.—ცივ ქვეყნებში დათვები, მგლები და სხვა ცხოველები მოგზაურობენ ყინულით, მოზვავებულ ყინულზე შერჩება ხოლმე რომელიმე ნადირი და ამ ნაირათ გაივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის არამც თუ ასს არამედ, ათას ვერსსაც. ამის მაგალითები ბევრია მოთხრობილი მოგზაურობის აღწერებში. ნანსენს თავის მოგზაურობის დროს ჩრდილოეთ პოლიუსისკენ რამდენიმე ისეთი დათვი მოუკლავს, რომლის კუჭშიაც თითქმის აღარაფერი საჭმელი არა ეოფილა. ეს იმის ნიშანია, რომ დიდი ხანი უმოგზაურია დათვს. ასეთ მოგზაურობის დროს, რასაკვირველია, ხშირათ მიახწევენ ხოლმე ცხოველები ისეთ ადგილს, სადაც წინეთ იმათი ჯიში არა ყოფილა და იქ მრავლდებიან, თუ გარემოება ხელს შეუწყობს.

თითონ ცხოველებიც ბევრს შველიან ერთმანეთს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლასა და იქ მოშენებაში. ზოგი ერთ ტეეებში თევზი გაჩნდა ფრინველების შემწეობით. გარეული ბატები, იხვები და სხვები სჯამენ თევზის ქვირითს, ფრინველს ხშირათ მიეკრობა ხოლმე ბუმბულზე ქვირითი; გადაფრინდება სხვა მდინარეში, ტბაში ან გუბეში და ქვირითიც თან გადააქვს. თევზის ქვირითი ზოგ მწერებსაც გადააქვთ ერთი წულიდან მეორეში. ქვირითი ფრინველის სკინტლშიაც გაჰყვება ხოლმე ცოცხლათ, მოუნელებელათ; ჩავარდება წყალში და იქ იჩეკება ვატარა ლიფსიტა, რომელიც იზდება და მრავლდება უცხო ადგილს.

წვიმიანობის დროს, დაბლობ ადგილებში დიდი გუბეები დადგება ხოლმე. ხშირათ ამ გუბეებში თევზი ჩნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. ვის მიჰყავს იქ თევზები? რასაკვირველია ფრინველებს და მწერებს. როცა ეს გუბეები შრება — თევზიც იხოცება.

ამ ნაირათ მოაშენეს ქვეყანა ცხოველებმა. დიდია ქვეყანა და ყოველ მის კუთხეში მოიპოვება. რომელიმე სულიერი.

ალ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლანეტები ანუ მთიებნი (ცთომილები).

მზის გარშემო მარტო დედამიწა არ ტრიალებს, მას ბევრი ამხანაგი ჰყავს: მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეფტუნი. ამგვარათ დედამიწაც რომ მიეუმატოთ, გამოვა რვა ცთომილი [1]); დედამიწასა და პირველ სამ ცთომილებთან შედარებით უკანასკნელი ოთხი ძალიან დიდები არიან. ამ პლანეტების გარშემოც თავთავისი მთვარეები ტრიალებენ; ყველა ესენი მზესთან ერთათ შეადგენენ მზის სისტემას. ცას რომ შეხედოთ, პლანეტები ვარსკვლავებისაგან არ განირჩევიან; მაგრამ მათ და ვარსკვლავებს შორის დიდი განსხვავებაა. მზის სისტემის შუაგულში არის მზე და ზემოხსენებული ცდომილები ტრიალებენ მის გარშემო სხვა-და-სხვა სიშორეზე. მზესთან ყველაზე ახლო არის მერკური, შემდეგ ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ყველაზე უფრო შორს მზისგან არის ნეფტუნი. მზე და ყველა ეს ცდომილები ერთმანეთს იზიდავენ და ეს მიმზიდველობა არის მათი მზის გარშემო ტრიალის მიზეზი.

ეს შესანიშნავი კანონი ბუნებისა გამოიკვლია, ახსნა და დაამტკიცა ინგლისელმა ნიუტონმა. მერკური სამჯერ მეტია მთვარეზე. მაშ ის გაცილებით პატარა ყოფილა ჩვენ დედამიწაზე, ის ისეთივე რკვალია, როგორც ჩვენი დედამიწა. იმასა და მზის სამყოფ შუა არის 53 მილიონი ვერსი: მზეს და დედამიწას შუა მერკური შუა გზას შეადგენს. მზის გარშემო შემოტრიალებას ის 88 დღეს უნდება. როგორც დედამიწა, მერკურიც ტრიალებს თავის გარშემო. წელიწადის ოთხი დრო იქაც არის. მერკურის ჰაერიცა აქვს, ხოლო იქ უფრო სიცხე იცის. რადგანაც ეს ძალიან ახლო არის მზესთან, ამიტომ მისი დანახვა შეგიძლიათ აღმოსავლეთით, ერ-

---

[1]) რვა მოზრდილ ცთომილებს გარდა ბევრი პატარა ცთომილებია, რომლებიც მზის გარშემო ტრიალებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი საათის წინეთ მზის ამოსვლამდე და დასავლეთით მზის ჩასვლის შემდეგ, სანამ სხვა ვარსკვლავები გამოჩნდებოდენ. ერთი საათის შემდეგ, როცა მზე ჩავა, ისიც იმალება, ამით შეგიძლიათ, იცნოთ მერკური; ის პატარა ვარსკვლავათ მოჩანს. ამგვარათ მერკური დილით მზეს ასწრებს ამოსვლას ერთი საათით, საღამოთი კი მზე ასწრებს მას ჩასვლას ერთი საათით. არის თუ არა მერკურიზე ცოცხალი არსებები, დანამდვილებით არავინ იცის. ბევრი ასტრონომი ამბობს, რომ არისო.

ვენერა. უფრო შორს არის მზისაგან, ვიდრე მერკური, დილით ის გაცილებით ადრე ამოდის, ვიდრე მზე და მოზრდილ ვარსკვლავათ მოჩანს ცაზე. ჩვენი ხალხი ეძახის მას ცისკარს. საღამოთი ის გაცილებით გვიან ჩადის, ვიდრე მზე. მას ცაზე თქვენ ადვილათ გაარჩევთ, რადგანაც ის მოზრდილია და მზის ჩასვლის რამდენსამე საათს შემდეგ ჩადის. ვენერა ძალიან ჰგავს ჩვენს დედამიწას; იმაზე მთებია, მინდვრები, წყლები, ჰაერი, ღრუბლები, მზის გარშემო შემოვლას ის ანდომებს თითქმის 240 დღეს; აგრეთვე ის თავის გარშემოც ტრიალებს. რადგანაც ვენერა გაცილებით უფრო ახლოს არის მზეზე, ვიდრე დედამიწა, ამიტომ იქ უფრო ცხელა, ვიდრე ჩვენ დედამიწაზე. ვენერა ძალიან ჰგავს ჩვენ დედამიწას, ამიტომ, უეჭველია, იქ ცოცხალი არსებები არიან. ვინ იცის, იქნება ისინიც მცხეერებიან თავის ცაზე მოზრდილ ვარსკვლავს, რომლის სახითაც მათ ჩვენი დედამიწა ეჩვენება, და ფიქრობენ, შეიძლება, იმ ვარსკვლავებზედაც ხალხი ცხოვრებდესო.

მარსი. უფრო შორს არის მზეზე, ვიდრე ჩვენ. იმასა და მზეს შუა არის 210 მილიონი ვერსი. მარსი ტრიალებს თავის გარშემო და მზის გარშემო. მზის გარშემო შემოვლას ის უნდება ერთ წელიწადს და თერთმეტ თვეს; თავის გარშემო კი ოც-და-ოთხ საათნახევარს, თითქმის იმდენსავე დროს, რამდენსაც ჩვენი დედამიწა. მარსი დედამიწაზე პატარა არის. თავისი ბუნებით ის ძალიან წააგავს დედამიწას. იქ არის ჰაერი, წყლები, ღრუბელი, ჰქრის ქარი, არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე და ღამე, ხოლო სითბო იქ ნაკლებია, ვიდრე ჩვენ დედამიწაზე, რადგანაც მარსი უფრო შორს არის მზეზე, ვიდრე ჩვენ. წელიწადის ოთხი დრო იქაც არის, მაგრამ, რადგანაც იქაური წელიწადი თითქმის ორ ჩვენ წელიწადს უდრის, ამიტომაც ყოველი დრო იქ ორჯერ გძელია. მაგალითათ ჩვენი შემოდგომა სამი თვეა, იქ კი ექვს თვეზე ცოტა ნაკლები. მთის მწვერვალები იქაც თოვლით არის დაფარული. მარსზე მცენარეულობა კი არა, ცოცხალი არსებებიც უეჭველათ უნდა იყვენ. მარსი ცაზე პატარა ვარსკვლავათ მოჩანს.

იუპიტერი ათას-სამასჯერ მეტია ჩვენ დედამიწაზე. როგორც ყველა პლანეტა და ვარსკვლავი, ისიც რგვალია. იმასა და მზეს შუა 720 მილიონი ვერსია; თითქმის ხუთჯერ შორს არის, ვიდრე დედამიწა. მზის გარშემო შემოვლას ის ანდომებს თორმეტ წელიწადზე ცოტა ნაკლებს. თავის გარშემო კი ის ძალიან ჩქარა ტრიალებს,— ათსაათზე მეტს არ უნდება. მაშასადამე იქაური დღე და ღამე გაცილებით პატარაა, ვიდრე ჩვენ დედამიწაზე. იუპიტერზე არის ღრუბლები, მთები, ხოლო იქ ძალიან სიცივეა და წელიწადის სხვა და-სხვა დროც არ იცის; მუდამ გაზაფხულია, ჩვენ გაზაფხულზე გაცილებით ცივი. იუპიტერზე ჰაერია, ამიტომ, შესაძლებელია, ცხოველი არსებებიც იყვენ. იუპიტერის გარშემო ხუთი მთვარე ტრიალებს.

სატურნი კიდევ უფრო შორს არის მზეზე. ის დედამიწაზე რვაასსამოცდა ოთხჯერ მეტია. მზის გარშემო შემოვლას უნდება ოცდაათ წელიწადს, მაშასადამე იქაური წელიწადი უდრის ჩვენებურ ოცდაათ წელიწადს. თავის გარშემო შემოტრიალებას კი ის მხოლოთ ათ საათს უნდება. სატურნზე გაზაფხულიც იცის, ზაფხულიც, შემოდგომაც და ზამთარიც. მაგრამ რადგანაც იქაური წელიწადი, ოცდაათ ჩვენებურ წელიწადს უდრის, ამიტომ ყოველი დრო იქ შვიდ წელიწადზე მეტს გძელდება. შვიდი წელიწადი სულ გაზაფხული, ან შემოდგომა! რა შვენიერებაა! სამაგიეროთ შვიდი წლის შემოდგომას შვიდი წლის ზამთარი მოჰყვება. არა, ისევ ჩვენი დედამიწა ჯობნებია: არც შვიდი წლის შემოდგომა გვინდა და არც შვიდი წლის ზამთარი! სატურნს გარშემო უვლის რვა მთვარე, ამკვარათ, იქ თუ ხალხი ცხოვრობს, ძაისის ღამეში ერთი მთვარის მაგიერ რვა მთვარე დაატკბობს, მაგრამ ეგი ამისთანა სიტკბოებას: სატურნი მზეზე ძალიან შორს არის, ამიტომ [illegible] ძალიან ცივა და, თუმცა იქაურებს რვა მთვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვსთ, მაგრამ შეიძლება, ერთიც ვერ დაინახონ, რადგანაც სიცივისა გამო ღამე ცხვირსაც ვერ გამოჰყოფენ გარეთ.

1781 წელს ვილიამ გერშელმა აღმოაჩინა ერთი პლანეტა, რომელსაც დაარქვა ურანი. ურანი ისე შორს არის ჩვენზე, რომ თვალით არ იხედება, თუმცა სამოცდა თუთხმეტჯერ მეტია ჩვენ დედამიწაზე მზის გარშემო შემოვლას ის 84 წელიწადს ანდომებს. თავის გარშემო შემოტრიალებას რამდენ ხანს უნდება, ეს ჯერ გამოუკვლეველია. რადგანაც იმასა და მზეს შუა ორი ათას ექვსასი მილიონი ვერსია, ამიტომ ურანზე ძალიან ცივა და, თუ იქ ვინმე ცხოვრობს, ჩვენი დედამიწის მცხოვრებლებისაგან ძალიან უნდა განირჩეოდეს.

1846 წელს საფრანგეთის ერთმა მეცნიერმა, მათემატიკოსმა. ლევერიემ, ანგარიშით გამოიკვლია: ცის ამა და ამ ალაგას ერთი ცთომილი უნდა იყოსო. ასტრონომებმა დაუმიზნეს ცას თავისი ტელესკოპები და წარმოიდგინეთ საკვირველება! იმ ალაგას, რომელზედაც ლევერიემ მიუთითა, მართლაც შეამჩნიეს ერთი ბეწვა ცთომილი, რომელსაც ნეფტუნი დაარქვეს. ეს ერთი ბეწვა ცთომილი, შეისწავლეს და გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ ის ოთხმოც და ხუთჯერ მეტია ჩვენ დედამიწაზე, მზესა და მას შუა ოთხიათას-ას-სამოცდაათი მილიონი ვერსია და უტელესკოპოთ მისი დანახვა შეუძლებელია. მზის გარშემო შემოვლას ის უნდება 165 წელიწადს. წელიწადის ოთხივე დრო იცის იქ და ყოველი დრო ორმოც და ერთ ჩვენებურ წელიწადს უდრის. ნეფტუნი იმდენათ შორს არის მზეზე, რომ ძალიან ცოტა სითბო და სინათლე მისდის; მზე იქიდან მოზრდილ ვარსკვლავის ოდენა მოჩანს! ამიტომ ნეფტუნის დღე ჩვენი მთვარიანი ღამესავით ნათელი არც კი იქნება. იქ ისეთი სიცივე იქნება, რომ ვერავითარი ცოცხალი არსება ვერ გასძლებს... მაგრამ ჩვენი წარმოდგენა ძალიან ვიწროა: შეიძლება ისეთი არსებები იყვენ, რომლებისთვისაც ნეფტუნის სიცივე შვენიერი ასატანი იყოს! ნეფტუნს ერთი მთვარე უვლის გარშემო და მის ბნელ დღეს ის მატებს მცირეოდენ სინათლეს. ყოველსავე ზემო ნათქვამს შემდეგ აშკარა არის, რომ ცთომილებს თავისი შუქი არა აქვთ; ისინი მხოლოთ მზის სხივებს აკრთობენ, როგორც ჩვენი მთვარე.

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი.

ზაფხულის უმთვარო და მოწმენდილ ღამეში შეხედეთ ცას. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰედილია მრავლისაგან უმრავლესი ვარსკვლავებით. ვარსკვლავი წარმოადგენს მზეს; ხოლო პატარა მიტომ ჩანს, რომ ჩვენგან ძალიან შორს არის. რაც უნდა საუცხოო ტელესკოპით შეხედოთ, რომელსამე ვარსკვლავს, ის მაინც ისევ პატარა ჩანს: მაშასადამე ტელესკოპი იმდენათ ვერ აახლოვებს ვარსკვლავებს, რომ ისინი უფრო დიდათ გვეჩვენებოდენ. ჩვენ ისე გვეჩვენება, ვითომც ყველა ვარსკვლავი ერთნაირ სიშორეზე იყოს ჩვენგან, მაგრამ ეს შეცდომაა: ვარსკვლავები ჩვენგან სხვა და სხვა სიშორეზე არიან გაფანტული. რადგანაც ყოველი ვარსკვლავი წარმოადგენს მზეს, აშკარაა, ყოველი ვარსკვლავის გარშემო უნდა ტრიალებდენ ცთომილები, ისე, როგორც ჩვენ მზეს უტრიალებენ; ზოგიერთ იმ ცთომილებზე უეჭველათ უნდა იყვენ ცხოველი არსებები, შეიძლება ადამიანებიც, ან სხვანაირი არსებები; მაგრამ ამ ცთომილების დანახვა და, მით უფრო, მათი გამოკვლევა ჩვენ ტელესკოპებს არ შეუძლიათ. უეჭველია, მომავალში უკეთეს ტელესკოპებს გამოიგონებენ და მაშინ ბევრი საიდუმლოება აიხსნება. ვარსკვლავები ერთ ალაგას არ არიან გაჩერებული, ტრიალებენ. მაშ ჩვენი მზეც უნდა ტრიალებდეს, რადგანაც ისიც ერთი ვარსკვლავთაგანია. დიახ, არც ჩვენი მზე არის ერთ ალაგას გაჩერებული, ისიც გარბის ამოდენა სივრცეში და თან იტაცებს თავის პლანეტებს, რომელთა ბედილბალი მასთან არის დაკავშირებული. ამ გვარათ ამ თვალ გადუწვდენელ სივრცეში ყველა ფერი მოძრაობს. ვარსკვლავებს იქით რაღა არის? კიდევ ვარსკვლავები, მაგრამ ჩვენ ვერ ეხედავთ. იმ ვარსკვლავებს იქით? ისევ სხვა ვარსკვლავები. სად არის დასაწყისი და სად დასასრული? ეს არავინ იცის; შეიძლება, მზე ისე გაქრეს და ჩვენი დედამიწა ისე დადუმდეს სამუდამოთ, რომ ეს საიდუმლოება აუხსნელი დარჩეს და კაცობრიობამ თან ჩაიტანოს სამარადისოთ საფლავში. ამოდენა წარმოუდგენელ სამყაროში ჩვენი დედამიწა პაწაწინა კენჭს წარმოადგენს. რაღას უნდა წარმოვადგენდეთ ჩვენ, ვინც ამ ერთი ბეწვა კენჭზე დავფუსფუსებთ?! სანუგეშოთ ის გვრჩება, რომ ჩვენ გვაქვს გონება, რომელსაც სამყაროს ახსნა და შესწავლა შეუძლია. ამ გონების განვითარება, სამყაროს და ცხოვრების კვლევა და შესწავლა ყოველი ადამიანის მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპარგული შუგი.

სამხრეთ აფრიკის ზღაპარი

ამ დროს, როდესაც კიდევ იყვენ ჩვენში თვალთმაქცნი და როდესაც ჩვენი ყუყა (შავი) ხალხი ჯერ არ იყო ზღვის პირებიდან შუაგულ ქვეყნებში შერეკილი, ერთმა ძლევა მოსილმა მეფემ მიიწვია ყველა მეუფროსენი და ხელთუფალნი თავის ერისა, რათა თავის საბრძანებელში გაემართა სამაგალითო შეჯიბრება შუბის სროლაში. ჯილდოთ გამარჯვებულისათვის დანიშნული იყო ასული მეფისა, შავთვალა ლ̣ლ̣. ამისათვის მათ უნდა ამოერჩიათ ერთმანეთში ოთხი ყველაზე უძლიერესი, ყველაზე უმამაცესი და ულამაზესი ჭაბუკი და ვინც ამ ოთხში ყველაზე შორს გატყორცნიდა თავის შუბს, ის ღირსი შეიქნებოდა მეფის ასულის შერთვისა.

მოგროვდა დიდძალი ხალხი ზღვის პირათ, მეფის სასახლესთან. უმრავლესობა ამ ხალხში სულ წარჩინებულნი იყვენ. რამდენსამე დღეს ჯერ ლხინსა და სიამოვნებაში ატარებდენ, სანამ ამოირჩევდენ ამ დიდი ჯილდოს შესაფერ ღირსეულ ახალგაზდებს. ბოლოს გადაწყდა ესეც; ამოირჩიეს მართლაც ოთხი ყველაზე უმჯობესი ყმაწვილი კაცი. სამი მათგანი იყვენ დიდებულ კაცთა შვილები, ხოლო მეოთხე—ერთი ღარიბი-უბადრუკი მწყემსი, სახელათ ზანდილი. ეს უბრალო მწყემსი ყველაზე მეტათ მოსდიოდა ჭკუაში მეფის ასულს, რომელიც იდგა იქვე, სასახლესთან და ათვალიერებდა კრებას.

აირჩიეს ერთი გრძელი ღელე და აქ რიგზე დააყენეს ოთხივე მეტოქენი. გაისროლა პირველმა და ძალიან მარჯვეთაც მოუვიდა,—მისი შუბი დეერჭო ერთ პატარა ბორცვზე, რომელიც კი ბანძილზე იყო მოშორებული. გაისროლა მეორემ,—გასცდა იმისი შუბი პირველისას და დაერჭო ერთ ნორჩ ფიჭვის ხეს. მესამის შუბი გასცილდა ორივესას და გაერჭო ერთ შვენიერ ოქროს ფერ ფრინველს, რომელიც იმ დროს თავს ევლებოდა თავისაებ შვენიერ ყვავილებს. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკრა ბოლოს მეოთხემ, მწყემსმა, მაგრამ იმისმა ნასროლმა ვერ ვერ ჭარბა ყველას: შებზრიალდა შუბი მაღლა ცაში, გაარღვია ღრუბლები ელვასავებ და განგმირა იქ შაერდენი.

ხალხმა ერთ ხმიე იგრიალა და აღიარა მწყემსი გამარჯვებულათ. მეფის ასულმა მეტის სიხარულით ცრემლები გადმოაფრქვია. მაგრამ დიდებულ მეფეს არა ჰსურდა ამ უბრალო მწყემსისათვის მიეცა თავისი ქალი და ბრძანა:

— მაგ კაცის შუბი ნამდვილათ მოჯადოებული იყო. დეე ერთხელ კიდეე გაისროლონ, ახლა მე თვითონ დაეურიგებ მაგათ შუბებსაო.

მეორე დღეს მეფემ გაგზავნა და ახალი ოქროს შუბები მოატანინა. სამ წარჩინებულ სასიძოებს მისცეს მართლა შვენიერი ერთი სიმძიმის შუბები; ხოლო მწყემს მიაჩეჩეს ხელში ყველაზე კოპიტი, ტლანქი და საშინელი მძიმე შუბი. გაჰკრეს ყველამ ხელმეორეთ და ახლაც ყველას ისევ მწყემსმა აჯობა, მაგრამ ახლა მისი შუბი გასცდა ღრუბლებს და სრულიად თვალთაგან მიეშალა მაყურებლებს.

უსამართლო მეფემ, რასაკვირველია, ახლაც მოუდვა მიზეზი:

— სანამ არ იპოვი იმ შუბს და არ წარმოადგენ ჩემ წინ, ვერ ელირსები ჩემ შვენიერ ასულთან შეუღლებასო.

ლალა ტირილით ეხვეოდა მუხლებზე თავის მამას, ეუბნებოდა, რომ მე ძალიან მიყვარს ის შვენიერი მწყემსიო, მაგრამ მამამ მრისხანეთ მოიშორა თავიდან შვილი; ურჩი მეფისა იმათში სიკვდილით დაისჯებოდა და ლალაც, ძალა უნებურათ, რომ ურჩობაში არ ჩამოჭრთმეოდა, უნდა გასცლოდა მეფეს.

მწყემსი ზანდილი წავიდა შუბის საძებნელათ. არ იცოდა სად დაეცა მისი შუბი ან სად არა. ახსოვდა მარტო ის, რომ შუბი ერთგან, ერთი მთის წვერზე შიგ ღრებლებში ჩაიყლაპა. გაუდგა ისიც იმ მხარეს, გადალახა მთლათ მთები და ღრეები იმ არემარისა, მაგრამ ვერსად ვერა იპოვა-რა. გათენდა მეოთხე დღე. ზანდილი იდგა ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლობ ადგილზე ჩაფიქრებული და გადაჰყურებდა ირგლან-ბოს ერთ ფართო გუბეს. ენახოთ, უცებ დეეცა მის წინ მიწაზე ერთი ფრინველი. კლანჭებში მწვანე ბაყაყი ეჭირა და შეჭმასა ჰლამობდა. საწყალი ბაყაყი იქნეედა მწარეთ თავსა და ფეხებს; უნდოდა, როგორმე ბრჭყალებიდან დაჰლწეოდა. ეს რომ ზანდილმა დაინახა, შეეცოდა ბაყაყი და ფრინველს კლანჭებიდან გააგდებინა.

ბაყაყმა დიდი მადლობა გადაუხადა თავის მხსნელ ზანდილს და უთხრა:

— თუ, ვინიცობაა, სადმე რომ გაგიჭირდეს და მე შეელა შემეძლოს, მოიგონე, ჩემო კეთილო, ეს გუბე და მე იმავე წამს იქ გავჩნდებიო.

ზანდილმაც, რასაკვირველია, მადლობა უთხრა პატარა ბაყაყს და ბაყაყი ყოყინითა და სიხარულით გადაერია გუბეში.

წადგა წინ ორიოდე ფეხი ზანდილმა; ნახა, ერთი შვენიერი ჭრელი პეპელა ქაცვზე (ეკლიანი მცენარე) აგებული, რომელიც საცოდავათ იხლაკნებოდა მეტი სიმწარისაგან. შეებრალა ზანდილს და ისიც გაათავისუფლა.

მოუბრუნდა მაშინ პეპელა და უთხრა:

— მე აქ, ამ ქაცვზე ერთმა პაწია გოგონამ ამაგო; შაი ლამაზი თვალები ჰქონდა, მაგრამ ბოროტი იყო ძალიან. აი, შენ რომ კეთილი ჰყოფილხარ, მეც დავიხსომებ შენ სიკეთეს: მახსენე, სადაც-კი გაგიჭირდეს და მე იმ წამსვე იქ გავჩნდებიო.

ამ სიტყვებით გაისწორა შვენიერმა პეპელამ მოთვალ-მომარგალიტებული ფრთები, გაერია თავის დობილებში და ცელქობით და თამაშობით მოედვენ სუნნელ ივან ყვავილებს.

ზანდილი კი, დადიოდა ნაღვლიანათ და დეეძებდა თავის დაკარგულ შუბს. დადგა მეხუთე ღამეც, შუბი არსად გამოჩნდა. ღამე იყო თბილი და მშვიდი, ცაში საესე მთვარემ ამოაშუქა.

ახლა ზანდილი თავშესაფარს დეძებდა. შეეიდა ერთ ეიწრო ხეობაში, სადაც მცირე რაღაც ნაკადული ჩამოჩხრიალებდა. ხეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლათ ბნელოდა. ორივე მხარეს უშველებელი სალი კლდეები იყო ამართული და ზანდილი ხან რას წააწყდებოდა, ხან რას წამოედებოდა, სრულიად ვერას არჩევდა. მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა: იცოდა ამისთანა ადგილებში უსათუოთ გამოქვაბულები უნდა ყოფილიყო და იქ ღამე თავის შეფარება შეიძლებოდა. მიაგნო კიდეც ბოლოს ერთ ამისთანა გამოქვაბულს. მთვარე შავი ღრუბლებიდან გამოსულიყო და კარგა მაღლა იდგა. მისი კაშკაშა სინათლე ერთი მხრიდან მისდგომოდა მღვიმეს (გამოქვაბული კლდე) და მცირეოდნათ გაეშუქებინა.

ზანდილი გულადათ შეეიდა მღვიმეში: მთის შვილი იყო, მთელი სიცოცხლე ამისთანა მთებში ჰქონდა გატარებული და შიში ფიქრათაც არ მოსდიოდა; თანაც ძალიან დაღალული იყო, მთვარის სინათლეც ნაკლებათ შემოდიოდა და მღვიმის ბნელი კუთხე-კუნჭულები სრულებით არ დაუთვალიერებია. მიწვა სწრაფათ და მკვდარსავით მიეძინა. არ გაუშვია ძილის დროს ხელიდან მარტო ერთი შუბი და სხვა არც არაფერი გააჩნდა მოსაგარებელი იარაღი.

როდესაც ზანდილს გამოეღვიძა, მღვიმეში საშინელი უკუმეთი იდგა; ყურებშიაც რაღაც საოცარი და თანაც სასიამოვნო რამ ღიღინის ხმა უბჟუოდა. განაბა სული და მთლათ სმენათ გადაიქცა; ხმა უფრო მომხიბლავათ, უფრო მომჯადოებელათ ეჩვენა. ზანდილი ამ მუზიკამ გაიტაცა. ველარ მოითმინა, წამოდგა წყნარათ და კატასავით ფრთხილათ მიიპარებოდა,—უნდოდა როგორმე თვალი მოეკრა იმ შვენიერ არსებისათვის, ვისგანაც ეს ტკბილი და საყვარელი ხმა მოისმოდა. მუზიკა თანდათან ახლოვდებოდა, მღვიმეც უფრო და უფრო ერცელი და ფართო ხდებოდა და ბოლოს 'კედლებსაც რაღაც მკრთალი შუქი ეფინებოდა.

ხმა მუზიკისა სრულიად მოახლოვდა, მღვიმე გაფართოვდა და გაიზარდა, სინათლე მოემატა და აი, ზანდილს წარმოუდგა თვალწინ ისეთი სანახაობა, როგორიც არც ერთ მომაკვდავს ქვეყანაზე არსად არ ენახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ფეხთით იწყებოდა ერთი თვალ გადაწვდენელი ტბა: ტბას მკრთალი სოსანი ფერი დაჰკრავდა. კამარა მღვიმისა მზესაეითა ლაპ-ლაპებდა. ტბის ძირიდან ათასობით უზარმაზარი სვეტები ამოდიოდა და მაღლა, ცის სივრცეში იკარგებოდა; თან ეს სვეტები სარკესავით პრიალებდენ, როგორც ალმასით მოჭედილები. ტბაში, ზედ შუაზე, ამართული იყო შვენიერი ოქროს საფეხურებიანი დალიჭი (ტახტი). დალიჭი მთლათ ზურმუხტისაგან იყო გამოყვანილი და ყველგან, თავის გარეშემო, ჰფენდა ცეცხლის ალსავით მომწვანო სხივებს.

ყოველი მხრიდან, ყოველ დაჩრდილულ კუთხე-კუნჭულიდან გამოსცურავდენ აუარებელი მოწითანო დიდრონი ზამბახის ყვავილები. შიგ ისხდენ შვენიერი თვალთ-მაქცი ფერიები და მისრიალებდენ დალიჭისაკენ. ყოველი მათგანი, რომ მიდიოდა, მიიკარცხნიდა თავის შვენიერ ოქროს თმებს და თან ნებივრათ მიღიღინებდა. ზანდილს არ ენახა არსად თავის დღეში ასეთი შვენიერი არსებანი. სილამაზით ვერ შეედრებოდათ მათ ვერც ყვავილი, ვერც ვარსკვლავი ცისა. ხმა ჰქონდათ ისეთი ნარნარი და მომხიბლავი, რომ მისი ქება კაცის ენით ვერ გამოითქმოდა. ეს თვალთმაქცი ფერიანი, რომ მიდიოდენ ოქროს კიბემდე, გამოდიოდენ ყვავილის ფურცლებიდან, არბოდენ კიბის საფეხურებზე და ეხვეოდენ გარს დალიჭს. მათი ცალიერი ნაები თავისუფლათ დასრიალებდენ ტბაზე, როგორც ნაზი ფერადი ყვავილები.

ზანდილს ძალზე გაეჭყიტა თვალები და განცვიფრებული შესცქეროდა ამ ამბავს. მაგრამ, არ იქნა, ვერ გაეგრჩია საწყალს, ვინ იჯდა დალიჭზე, რადგან დალიჭი ისეთ ძლიერ სხივებს გამოსცემდა, რომ ვერა ადამიანი ვერ შესძლებდა, მისთვის თვალი გაისწორებინა.

შესწყდა ერთბაშათ მუზიკა, შესწყდა ყოველივე ხმაურობა— თითქოს მიხვდენ ეს უცნაური ქმნილებანი, რომ მათ შორის ერია ვილაც უცნობი, ადამის შვილი. შექნეს ერთმანეთში საიდუმლო მითქმა-მოქმა და თან ჯგუფ-ჯგუფათ გროვდებოდენ დალიჭის გარეშემო. ენახოთ, გაირღვა შუაზე თვალთ-მაქცთა ჯარი, წამოდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ ერთი ყველაზე უფრო უცნაური არსება, დაეშვა ძირს, კიბის საფეხურზე, თითქმის წყლის პირამდე და წარმოთქვა საამური წკრიალა ხმით:

— მომაკვდავო, ჩვენ უკვე მოგელოდით. შენა ხარ მწყემსი ზანდილი. ჩვენ ვიცით, რაცა გსურს. შენ ეძებ მეფის შუბს და გულში გიფიქრია შეუუღლდე მეფის ასულს. ხუთჯერ ამოვიდა მთვარე მას შემდეგ, რაც შენ შუბის სროლაში სძლიე სამი წარჩინებული საქრმო. როდესაც ორჯელ კიდევ ამოვა ქვეყნათ მთვარე, შენი საბედო შეუუღლდება სხვას, თუ არ ეცადე და არ დაიხსენ დროზე განსაცდელისაგან. მაგრამ ნუ შეჰშინდები, ამამაკო ზანდილო, შენ ჯერ კიდევ შეგიძლიან მოიპოვო მეფის შუბი!

შეწყდა წკრიალა ხმა. ზანდილი დეემხო მის წინ პირქვე და წარმოთქვა:

— ოჰ, ბრწყინვალე არსებავ, სხივ-მომფენო — ვითა მზეო, უაღრესო სიბრძნით ყოველთა მისანთა ზედა, შემეწიე მე, შენ მონა-მორჩილს, რომ ვიპოვო ის შუბი!

ოქროს ნავი, რაღაც საოცარი სანახაობისა, მოცურდა კიბის საფეხურებიდან და გაჩერდა ზანდილის ფეხთით. ისიც მარდათ და გაბედვით ჩაჯდა შიგ. ნავმა სწრაფათ მოიტაცა და ელვასაებ მიაქანა ოქროს კიბის საფეხურებთან. მომხიბლავმა არსებამ გამოუწოდა მას ხელი, როდესაც ზანდილი ნავიდან გადადიოდა. ეს იყო დედაკაცი, შვენიერი, როგორც დილის ცისკარი. აუარებელი სხივები გამოციმციმებდა მისი ალმასის სარტყლიდან და მისი გულ-მკერდის სამკაულებიდან. ტიტელათ ჰქონდა მხოლოთ ბროლივით ყელი და მკლავები. ოქროს თმები კოჭებამდე დაჰფენოდა და შიგ ჩართული ცხოველი ყვავილები თვალ-მარგალიტებსავით გამოსჩანდა.

— მშვიდობა შენ მოსველას მთვარის თვალთმაქცთა ქვეყანაში! უთხრა იმავე ქალმა ზანდილს, მოჰკიდა ხელი, გადიყვანა დალიჭთან და იქ, თავის გვერდით უჩვენა ადგილი. გროვა და გროვა თვალთმაქცნი, ვინც-კი საფეხურებზე იდგენ, მდაბლათ და მოწიწებით უკრავდენ მათ თავს, როდესაც ისინი დალიჭისაკენ მიდიოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ზანდილმა მოახსენა:

— ოჰ, დიდებულო მეფეე, რომელიც ძლიერი ხარ, ვითარცა ლრუბელი ცისა და უუმშვენიერეს ცისკრისა, მითხარ, მიბრძანე შენ მონას, რითი შემიძლიან გასიამოვნო, რომ შემეძლოს შენგან მეფის შუბის მიღება?

მან დაჰხარა ამ სიტყვებზე ტბასაებ ლურჯი თვალი და წარმოთქვა:

— მე მინდა, რომ შენ ამ საათშივე შეგეძლოს იმ შუბის წაღება; მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი ძველის-ძველი ჩვეულება და ამ ჩვეულების გამო თვით დედოფალსაც არ ძალუძს ჩვენი სალაროდან რისამე აღება. როდესაც ის ოქროს შუბი აქ, ამ ჩვენი მღვიმის შემოსავალში ჩამოვარდა, ჩვენ ის სალაროში შევინახეთ. ძველათგანვე იყო ნაწინასწარმეტყველები, რომ ჩვენთან მომაკვდავი ვინმე უნდა მოსულიყო. მომაკვდავი თავისი იარაღის საპოვნელათ უნდა მოსულიყო და მას იმ იარაღის მოპოება დიდ სიხარულს მიანიჭებდა. როდესაც ის მოვიდოდა, მისთვის უნდა მიეცათ ორი ამოცანა და უკეთუ ის შეასრულებდა ამ ორივე დავალებას, მიიღებდა კიდეც, რასაც ეძებდა. შენ, ზანდილო, მწყემსო, შენა ხარ იგი მომაკვდავი. შენ ეძებ ოქროს შუბს და მის პოვნა მოგანიჭებს შენ უუმშვენიერეს მეფის ასულს. ჩვენ მოვიწვევთ ახლა კრებას და გადაგიწყვეტავთ, თუ რა ამოცანები შეიძლება მოგეცეს. ხოლო სანამდის აი, ეს ჩემი მხლებლები გიჩვენებენ შენ ყოველივე ღირს შესანიშნავსა და ლამაზ ადგილებს ამ ჩვენი საცხოვრებლისას.

ამ სიტყვებზე ჩაჯდა დედოფალი ზამბახ-ნავში და გასრიალდა. სამი შვენიერი თვალთმაქცი ჩაუჯდა ზანდილს ოქროს ნავში და უჩვენეს მრავალი სასწაულთ მოქმედებანი გაკვირვებულ მწყემსს. გარს ყველაფერი სხიოსნობდა და ელვარებდა, ბნელი იყო მხოლოთ მღვიმე, ბნელი იყო მისი კედლები, როგორც კუმეტი ღამე. მაგრამ ზანდილს ძალიან ეჩქარებოდა. უნდოდა ჩქარა მიეღო მეფის შუბი, რომ დროზე მიეღწია თავისი საწადელისათვის, მით უმეტეს, რომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დედოფალმა გაიხსენა ლაპარაკში, როცა ორჯელ კიდევ ამოვა მთვარე, ლალა უკვე სხვას ეკუთვნება. ამისათვის მან თხოვა თვალთმაქცთ, რომ მალე წაეყვანათ ისევ უკან, დედოფალთან, რომელიც უკვე დაბრუნებულიყო და დალიჭზე იჯდა. დედოფალი ღიმილით მიეალერსა ზანდილს და თავისი თეთრი ხელი ოდნავ დაადვა მას შავ მხარზე.

— ჩვენ გადავწყვიტეთ, უთხრა დედოფალმა,-რაუნდა იყოს შენი პირველი ამოცანა. ჩემმა მესაიდუმლეებმა მოიგონეს შენთვის მეტათ მძიმე საქმე. შენ ხომ გინახავს ბნელი მღვიმე. ეს ერთათ ერთი ადგილია, რომელიც ისე საძაგლათ ასახიჩრებს ამ ჩვენ საცხოვრებელს. უკეთუ შენ შეიძლებ და გარდაჰქმნი იმ მღვიმეს ისეთსავე ლამაზ და ნათელ ადგილათ, როგორიც არის ყველა დანარჩენი ადგილები ამ ჩვენი საცხოვრებლისა, შენ უკვე შესრულებული გექნება შენი ნახევარი მოვალეობა. ეს საქმე უნდა დაამთავრო მანამდის, ვიდრე ხელახლა ამოვიდოდეს მთვარე; წინაალმდეგ შემთხვევაში შენ მოგელის ულმობელი სიკვდილი.

ზანდილი წაიყვანეს ბნელ მღვიმეში და დატოვეს იქ ოქროს ნავში. საწყალი ზანდილი! არ იცოდა რითი გაეშვენიერებინა ის საზიზღარი შავი კლდები. ის სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ფიქრობდა მაშფოთარ ზღვაზე და მის ბამბისავით თეთრ ქაფიან ტალღებზე,—ვინ იცის, იქნებ თავის დღეში ვეღარა ჰღირსებოდა მათი ხილვა! — ფიქრობდა მეფის ასულზე, რომელიც სხვის ცოლი უნდა გამხდარიყო; ფიქრობდა ყვავილებზე, ფრინველებზე, მწყრებზე და გაეცინა, როდესაც თავისი პეპელა მოაგონდა. გამოადგება ნეტავი ახლა იმისი შემწეობა?! რასაკვირველია, არა.

ზანდილმა ერთი ღრმათ ამოიოხრა და მიეშვა დასაძინებლათ.

მაგრამ, თურმე ეგრძნო კიდეც პეპელას მისი ნატვრა, როდესაც იმედ მიხდილი ზანდილი თავისთვის გულში ფიქრობდა პეპელას შემწეობაზე. დილით, განთიადისას მოეკრიბნა ამ პეპელას საცა კი ნათესავი და ნაცნობი გააჩნდა. და მისულიყვენ პირდაპირ მღვიმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანდილს გამოეღვიძა იმათი ფეხებისა და ფრთების შაშიკუნაზე და, რომ მიიხედ-მოიხედა გაოცებული დარჩა: ნახა, შავი და ბნელი მღვიმის კლდეები მზესავით გაბრწყინვებულიყო, ბჭყვრიალა ლამაზ პეპელებს და ციცინათელებს ისე მოეჭედნათ ყველა კედლები მღვიმისა, რომ სულ ცეცხლის ნაპერწკლებს გამოსცემდა.

როდესაც მოვიდა საქმის შესამოწმებლათ დედოფალი თავის ამალით, ძალიან გაეხარდათ; თანაც დიდათ განცვიფრებულნი იყვენ, თუ როგორ შესძლო უბრალო მომაკვდავმა ასეთი სასწაულმოქმედებაო. და ყველანი ერთ ხმით ღაღადებდენ:

— შეუსრულებია! შეუსრულებიაო!..

მთელი დღე ლხინსა და სიამოვნებაში გატარეს. არ მიუღია ლხინში მონაწილეობა მარტო დედოფალს. იმას ამ დროს მოეწვია თავისი მესაიდუმლენი და ბჭობა გაემართათ მეორე ამოცანის გამო.

საღამო ხანს დედოფალმა გამოუცხადა ზანდილს:

— შენ შეასრულე პირველი მოვალეობა და თითქმის ღირსი ხარ მიიღო შენი შუბი. ამისათვის ის შუბი გამოტანილია უკვე სალაროდან და ახლა აქ, ამ ჩემი დალიჭის წინა საფეხურებზე დევს. ყური მიგდე! აი შენი მეორე ამოცანა. ჩემთა მხლებელთა ტანისამოსი მოქსოვილია მწერთა ფრთებისაგან, მაგრამ ამ ქამათ მასალა შემოგველია და საქსოვი მანქანები გაჩერებულია. შენ უნდა გააკეთო ახლა მწერთა ფრთებით აი, ეს ასი ნაკი.

თქვა ეს დედოფალმა და უჩინარ იქმნა.

ზანდილი ჩაწვა კვლავ თავის ნავში და მიეცა ათას გვარ საგონებელს. ეს საქმე უფრო შეუძლებლათ მიაჩნდა, ვიდრე პირველი. ვინ იცის კიდევ ეღირსება მას ხილვა მზის სხივისა, ნადირობა ვეფხვსა და ფოცხვერზე; არ ეღირსება არაოდეს ხილვა გრილი ღრმა გუბეებისა, მოკაშკაშე მთიური წყლებისა; არ ეღირსება არაოდეს ხილვა მომღიმარე შავთვალება საპატარძლოსი. და ამ იმედ გადაწყვეტილ ფიქრებში ჩეეძინა კიდეც.

იგრძნო, თურმე, ბაყაყმა თავის ღრმა გუბეში ოხერა-გმინვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მხსნელისა, შეკრიბა იმავე წამს მთელი თავისი ნათესავები და მეგობრები— ხელიკები და ჯოჯოები და გასწიეს მღვიმისაკენ. ყოველიერ მათგანს მოჰქონდა პირით რამდენიმე მწერი და სრულიად მოკლე ხანში გაიესეს ნავები მწერის ფრთებით.

ბაყაყების ყიყინზე გამოელვიძა ზანდილს. ნახა საესეა ნავები მწერის ფრთებით და ძალიან გაეხარდა. შეევიდა დედოფალიც თავის ამალით და ყველამ ერთ ხმათ შესძახეს:

— შეუსრულებია, შეუსრულებია! შუბი მაგისია, შუბი მაგისიაო!

ავიდა მაშინ ზანდილი ოქროს კიბეებზე შუბის მისაღებათ. მაგრამ დედოფალს აღარა სურდა მისი გაშვება; უნდოდა მუდამ თავისთან ჰყოლოდა ეს შესანიშნავი თვალთ მაქცი და სასწაულთ მოქმედი მომაკვდავი.

ზანდილს კი საშინლათ ესწრაფებოდა და აღარც ერთი წამის დაყოვნება აღარ უნდოდა. გამოგლიჯა დედოფალს ხელიდან თავისი ხელი, აიტაცა ოქროს შუბი და გადახტა ნავში.

რამდენსამე საათს შემდეგ ზანდილი იდგა მეფის წინ და ითხოვდა თავის საცოლეს.

ლადო ალნიაშვილი.

მოწყალება

(ტურგენევიდან)

ერთ დიდ ქალაქის ახლოს, განიერ შარა გზაზე მოდიოდა მოხუცებული ავათმყოფი.

იგი ირხეოდა, გამხდარ ფეხებს ძლივს ათრევდა, ბორძიკობდა, ტანზე კონკები ეცვა, თავ-დახრილი სულს ძლივს იბრუნებდა.

ის ჩამოჯდა გზის პირათ ქვაზე, სახეზე ხელები მიიფარა, გამხმარ თითებ შუა ცრემლები წვეთ-წვეთათ მიწაზე ცვიოდა.

იგი მიეცა მოგონებას.

იგონებდა რომ ოდესმე ისიც ჯანმრთელი და მდიდარი კაცი ყოფილა, მაგრამ სიმრთელეს არ გაფუთხილებია, ხოლო სიმდიდრე მეგობრების და მტრებისთვის დაურიგებია და ახლა ლუკმა პური არ ეშოვებოდა, ოფველივე მისი ამაგი მეგობრებს მტრებზე ადრე დავიწყებიათ... ნუ თუ ახლა მან იმდენათ უნდა დაიმცირონს თავი, რომ მოწყალება ითხოვოს? ნაღველი და სირცხვილი მოაწვა გულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლები კი ნაკადულსავით მოდიოდა თვალებიდან და აჭრელებდა მიწას.

უცბათ მოესმა ვიღაცის ხმა. აიწია თავი და შესცდა. მის წინ ვიღაც უცნობი იდგა, წენარი და ღირსეული სახით; მისი თვალებიდან გამოკრთოდა ნათელი, რომელიც კაცის გულამდის წვდებოდა.

— შენ შენი სიმდიდრე სხვებს დაურიგე, მოესმა მშვიდი ხმა,—ხომ არ ნანობ, რომ სიკეთე ჩაიდინე?

— არ ვნანობ,—უპასუხა მოხუცმა ოხვრით;—აი, ეს არის, რომ ახლა ვკდები...

— ქვეყანაზე რომ ღმერთს გლახები არ გაეჩინა და მათ შენთვის ხელი არ გამოეწოდათ მოწყალების სათხოვნელათ, — განაგრძო უცნობმა,—ხომ ვერც გულკეთილობას გამოიჩენდი, ვერ ავარჯიშებდი შენ კარგ გრძნობებს?

მოხუცმა არაფერი არ უპასუხა და ჩაფიქრდა.

— მაშ გულში ნუ გაქვს ამპარტავნობა, საწყალო, განაგრძო ლაპარაკი კიდევ უცნობმა,— გასწი, ითხოვე მოწყალება, მიეც საშუალება სხვა კეთილ კაცებსაც, რომ საქმით გამოიჩინონ თავისი გულ კეთილობა.

მოხუცებული შეიძრა, თვალები მაღლა აიღო... მაგრამ უცნობი სადღაც გაქრა.., შორს გზაზე გამოჩნდა ვიღაც მგზავრი.

მოხუცებული მიუახლოვდა — და გაუწვდინა მოწყალებისთვის ხელი... მგზავრმა სასტიკათ ზურგი შეაქცია და არა მისცარა.

მაგრამ მის უკან მოდიოდა სხვა მგზავრი.—მან მისცა მოხუცებულს ცოტაოდენი მოწყალება.

მოხუცებულმა ამ გროშებით ბური იყიდა და ტკბი-

ლათ ეჩვენა მათხოვრობით ნაშოვნი ლუკმა, სირცხვილი ადარ ღრღნიდა მის გულს, ის კი არა—ჰირიქით სიხარულს გრძნობდა.

ან. წ—სა.

დედის ნუგეში.

ერთი წვრილ-შვილი და ღარიბი დედაკაცი დაქვრივდა. უფროსი შვილი ასი წლისა ძლივს იყო და ღვთის ანაბარათ დარჩენილი ქვრივი დედაკაცი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. შიმშილმა, სიცივემ, ჯავრმა და ზრუნვამ გული გაუტეხა, დასუსტდა და აღდგომის წინა კვირეებში ლოგინათ ჩავარდა. ლესავდა საბრალო ლოგინს და ოხვრა ქვნესით მოთქვამდა:

— ეჰ, ღმერთო, შენ დაგელოცა სამართალი! რა იყო ჩვენი ასე მოძულება! აი, აღდგომა სიხარულისა მოდის და ჩვენთვის არაფერი სიხარული არ მოაქვს! ვინ არის ნუგეში? ვინ არის ქვრივ-ობლების მშველელი?

— ნუ, ჩემო დედილო! ნუ ამბობ მაგას! მე სკოლაში ვისწავლი, გავიზდები, კაი კაცი გამოვალ, ბევრ ფულებს ვიშოვნი და ყველაფერი გვექნებაო! უთხრა დედას უფროსმა ვაჟმა და ლოყაზე კოცნა დაუწყო.

ექვსი წლის ქალიშვილი ძუძუებში ჩაეკონა დედას და ეტიტინებოდა:

— ნუ ტირი, ჩემო ძუძუა! მე სახლს დავგვი, დავალაგებ, ჯამ-ჭურჭელს დავრეცხ-დავასუფთავებ; კარ-მიდამოს დავაკრიალებ, ისე, ისე, რომ ყველაფერს ნათელი ადგესო!

გადაჰკოცნა დედამ შვილები, სიხარულის ცრემლები გადმოჰყარა, ღიმილი მოუვიდა, იმედი მიეცა და ამ იმედმა კარგათ გახადა.

თან—ენ კან—ინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხური ლექსები.

(ჩაწერილი არჩ. დეკანოზიშვილისაგან)

ვაიმე დედის ამაგსა,
რო ვერ გადეიხდი რა ეუყო?
ზურგს მოვიკიდო საბლითა,
რო ვერ ვატარო რა ეუყო?

კარგი ხარ კარის ვერახო,
რომ არა გჭამდეს ქათამი.

თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო,
თქვენ მომარჩინეთ ამასა:
მტერმა მტერს უნდა უმტეროს,
მოკეთემ ამისთანასა.

კამეჩი მოკედა ბეხია (ბებერი),
შეუშვერია ფეხია:
წადით უთხარით ჩემ პატრონს—
მხარზე გაიდოს კეტია.
მე მაშინ მოგაგონდები,
როცა რომ წავა ტყეშია;
შეაბამს წვრილსა მოზვრებსა,
იკლაკებოდენ წელშია.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი გ. ბოკერიასაგან)

ღმერთმა დამბადა კაცათა,
კაცმა გარდამქნა ძიძათა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთვალავ ჩემსა გაზრდილებს
სისხლით ვერგები ბიძათა!..
ირგელიე მესევა მტერები,
მტაცებენ თითო გაზრდილსა;
მე ცრემლებს ვღვრი და ისინი
მით იკეთებენ სადილსა.

ბალჩაში ფური აბია,
ძუძუ ასხია მრავალი;
რძე უხვათ გამონაწველი,
შორს გზაზე არის მავალი.
გემო მჟავე აქვს, მანანას
შეედარება ფერითა;
უზომოთ მისი დამლევი
მიწასა დაჰგვის წვერითა.

(წარმოდგენილი უცნობისაგან)

აქ ჩაძვრა და იქ ამოძვრა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი სასულ. სასწ. მოსწავლე გ. ნათიძისაგან)

ვისაც სახლი არ უშენებია ასე ჰგონია ბოძები თავის თავათ ამოსულაო.

(წარმოდგენილი გ. ბოკერიასაგან)

ჭკუა და გამოცდილება უგემურსაც გემოს მისცემს.

ძველი ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგვეწონება.

პირუტყვს საკვები აფეროვნებს, ადამიანს კი პატიოსანი ნაშრომი.

ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი კ. გოქაძისაგან)

სამი ამხანაგი არის
ერთმანეთსა არ თანხმობენ:
ერთი ძლიერ მჭამელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაფერით ვერ აძლობენ.
მეორე დარბის გიჟსავით,
ამხანაგებს არას ჰკითხავს;
წავა და შინ აღარ მოვა,
არცა რა მიაქვს და არც მოაქვს.
მესამე კი კუტათ გდია,
არცა სჭამს და არც დადისა;
თავის კერას ყარაულობს,
ერთგულია ოჯახისა.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ჰელიაშვილისაგან)

პირველი ნიშნავს მიტევას
ძაღლისას ნადირებზედა;
მეორე—დაწამებაა,
სხვაფრივ ნათქვამი სხვებზედა.
მთელი კი არის ღიმილი
ნელის ხმით გამოწვეული;
ბევრი მინახავს თქვენგანი
მისგან კუჭკუჭათ ქცეული;
ვინც გამოიცნობთ მიიღეთ
გინდ მსხალი, გინდ ბროწეული.

რ ე ბ უ ს ი

წარმოდგენილი გ. ნათიძესაგან.

ბალის სარწ-ყავი?

ძნის შესა-კრავი

ეროვნული ბიბლიოთეკა




№ VI გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ხეფანგი (მახე), 2) ბაყაყი, 3) ეაზი.
ანგარამა: კიტრი—კრიტი.

ᲣᲯᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ.

						ა	ს				
					ე	თ	ი	ხ			
				ი	დ	ი	გ	ა	ს		
			დ	ე	რ	ო	მ	შ	ე	ნ	
		მ	ა	შ	ვ	ი	ლ	ი	შ	ვ	ი
	ლ	მ	ა	ც	ზ	ე	დ	გ	ა	ი	ა	რ
						ო	ს	ო			

რებუსი: დიდთა რას ვაქნევ ლაშქართა კარგნი გვინდა და ცოტანი.

გამოცანები და **რებუსი** ახსნეს თფილისში: სათავად-აზ. სკ. მოსწავლემ დიმ. დეკანოზიშვილმა და სოფ. კეხისჯვარში საშა ციციშვილის ქალმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეათე

გიმოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) ТФИЛИСЪШИ—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*.

ეროვნული
ბიბლიოთეკა